



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ხაჩიძე

ევროკავშირის სამშვიდობო მისიების ეფექტიანობა:
ლიბიის და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქეისები

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

ნაშრომი შესრულებულია დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად


თემის ხელმძღვანელი: პროფესორი თორნიკე თურმანიძე

თბილისი

2019 წელი



EUROPEAN UNION CSDP MISSIONS AND OPERATIONS 2018



ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიმდინარე მისიები და ოპერაციები 2018 წლისათვის (Action, 2018).

ანოტაცია

კვლევის მიზანია დაადგინოს რა ფაქტორები განაპირობებენ ევროკავშირის სამშვიდობო მისიების არაეფექტიანობას. ავტორის აზრით ევროკავშირის წევრ დიდ სახელმწიფოთა შორის არსებული შეუთანხმებლობის მაღალი დონე იწვევს მათ შეზღუდულ მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციების პროცესში რაც შემდგომ უარყოფითად აისახება ამ მისიების ეფექტიანობაზე. საკითხი განხილულია ინტეგრაციის თეორიის - ინტერგოვერმენტალიზმის თეორიულ კრილში. ნაშრომში საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გაანალიზებულია ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ჩატარებული სამშვიდობო მისიები ლიბიასა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ქვისების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ წევრ სახელმწიფოთა არაერთსულოვნებამ ორივე შემთხვევაში გამოიწვია კომპრომისული რეზოლუციების მიღება. ერთ შემთხვევაში ორგანიზებული მისია საერთოდ არ განხორციელდა (ლიბია), ხოლო მეორე შემთხვევაში არაეფექტიანი აღმოჩნდა (კონგო დრ). ნაშრომში ასევე შედარებისთვის მოყვანილია ევროკავშირის მისიები სომალში და მალიში. მათი წარმატების მიზეზია გადაწყვეტილების მიღებისას დიდი ევროპული სახელმწიფოების ერთსულოვნება და მათი აქტიური მონაწილეობა.

Abstract

Aim of the paper is to identify and analyze the factors which contribute in inefficiency of European Union peace missions. The hypothesis of the work is that incoherence among EU member large states causes their limited contribution in the peace missions which results ineffective operations. THEoretica framework of the thesis is intergovernmetalism. Author argues that, in the sphare of security, states do not tend to share their sovereignty. In order to answer the thesis question, author analyzes the cases of Libya and Democratic Republic of Congo. Analysis shows that incoherence among EU members resulted in not deployment of planned operation (Libya) and inefficient mission (DRC). Paper is concluded with the examples of successful cases of EU missions in Somalia and Mali. Due to coherence at decision-making level and active participation of the large EU states on the ground, these operations improved the situation in the countries.

სარჩევი

შესავალი	6
კვლევის პრობლემა	9
კვლევის სტრატეგია და მეთოდოლოგია	12
თეორია	13
ინტერგოვერნმენტალიზმი	14
ლიტერატურის მიმოხილვა	20
ნაშრომის სტრუქტურა	25
ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	25
ევროკავშირის კრიზისების მართვის ინსტრუმენტები	29
ქეისი: ლიბია	30
კრიზისის დასაწყისი	31
ევროკავშირის მრავალმხრივი პასუხი კრიზისზე	33
EUFOR ლიბია	35
საფრანგეთი	37
დიდი ბრიტანეთი	39
გერმანია	40
იტალია	41
ქეისი: კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	42
კონფლიქტის ისტორია	42
EUFOR ARTEMIS	43
EUFOR RD Congo	44
სამშვიდობო მისიები კონგოში	47
ევროკავშირის წარმატებული სამშვიდობო მისიები	48
ინტერგოვერნმენტალიზმის ახსნა	49
დასკვნა	49
გამოყენებული ლიტერატურა	51

ძირითადი კონცეფციები

სუვერენიტეტი - ყოველდღიურ საუბარში იხმარება დამოუკიდებლობის სინონიმად. არსებობს ტერმინის უამრავი დეფინიცია, თუმცა კვლევის ფარგლებში გამოვყოფთ შემდეგ განმარტებებს: ნეილ ნუგენტის აზრით სუვერენიტეტი არის „ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთა იურიდიული შესაძლებლობა მიიღონ გადაწყვეტილებები გარე შეზღუდვების გარეშე“ (Nugent, 1999). ხოლო ჯონ მაკკორმიკი მას განმარტავს როგორც „ძალაუფლების ქონისა და გამოყენების უფლებას“ (McCormick, 2002).

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მონაწილეები

ევროპული საბჭო - The European Council

ევროკავშირის საბჭო (საბჭო) – Council of the European Union (The Council)

ევროკომისია - The Commission

ევროპის პარლამენტი - The European Parliament

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო - The Court of Justice

უმაღლესი წარმომადგენელი/ვიცე პრეზიდენტი და ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური - The High Representative/Vice-President and European External Action Service (EEAS).

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სტრუქტურები

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (სსუპ) – Common Foreign and Security Policy (CFSP)

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (სსუტპ) – Common Security and Defense Policy (CSDP)

ევროპული საგარეო მოქმედებათა სამსახური - European External Action Service (EEAS)

საშინაო პოლიტიკის საგარეო ასპექტი - External Dimension of Internal Policies

წევრი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკები

შესავალი

28 ევროპული სახელმწიფოს გაერთიანება რომელიც დღეს ევროკავშირის სახელითაა ცნობილი თავისთავად ძალიან საინტერესო საკვლევო ობიექტია. უპირველეს ყოვლისა ამის მიზეზია ის უნიკალური ბუნება (sui generis) რაც ამ გაერთიანებას გააჩნია. ევროკავშირი განსაკუთრებულია თავისი კომპლექსურობითაც, სწორედ ამიტომ მასზე შექმნილი ნაშრომები არასდროსაა მთლიანად გაერთიანების კვლევა და მოიცავს ისეთ თემებს როგორებიცაა ინტეგრაციის ისტორია, ეკონომიკა, შიდა და საგარეო პოლიტიკა, სამართალი, სოციალური ურთიერთობები და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კვლევა, რაც რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული.

ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში ხაზი ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას შორის დღითიდღე უფერულდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ტრანსნაციონალური, ზეეროვნული საფრთხეების მომრავლებაა. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ცვლილება დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების ძალოვან სტრუქტურებში, სადაც ხდება პოლიციის მილიტარიზება. პოლიციის მოვალეობები ცდება ყოველდღიურ კრიმინალთან ბრძოლას და მათ ხშირად უწევთ სახელმწიფო უსაფრთხოების მისიებში მონაწილეობის მიღება (Lutterbeck, 2005). ბუნებრივია ეს პროცესი უცხო არ არის ევროპული სახელმწიფოების გამაერთიანებელი ევროკავშირისათვის.

ევროკავშირის ისტორია სათავეს იღებს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებიდან, რომელიც 1951 წელს შეიქმნა. თუმცა დღევანდელი სახით კავშირს ყველაზე მეტი საერთო აქვს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან რომელიც 1957 წელს შეიქმნა რომის ხელშეკრულებით. აღსანიშნავია, რომ ამ ორი დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან არც ერთში ნახსენებია კი არ იყო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. მკვლევართა ნაწილი ამ ფაქტს დღესაც იყენებს ევროკავშირის, როგორც გლობალური აქტორის იდეის გასაკრიტიკებლად. მათი აზრით, ისეთი უნივერსალური მისწრაფებები როგორიცაა მსოფლიოს განვითარებაში და მშვიდობის დაცვაში წვლილის შეტანა ბოლო წლებში თავს მოხვეული ფენომენია და არანაირი საერთო არ აქვს გაერთიანების როგორც ისტორიულ ასევე ინსტიტუციურ წარსულთან. ასევე ხშირად

ხდება აქცენტის გაკეთება ევროკავშირზე, როგორც ეკონომიკურ გაერთიანებაზე. თუმცა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კრიტიკოსებს ავიწყდებათ ის მთავარი იდეა რაც საფუძვლად დაედო ამ გაერთიანების შექმნას. ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების მთავარი მიზანი იყო მეორე მსოფლიო ომში ერთმანეთის წინააღმდეგ მონაწილე სახელმწიფოების ერთ ინსტიტუციონალურ სტრუქტურაში გაერთიანება, რათა გაზრდილიყო მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობები და თანამშრომლობა. გაზრდილი კოოპერაცია შეამცირებდა და მინიმუმამდე დაიყვანდა ამ სახელმწიფოებს შორის მომავალში სამხედრო კონფრონტაციას. ამგვარად, თუ მსოფლიოში რომელიმე ორგანიზაციას ან გაერთიანებას აქვს პრეტენზია მსოფლიო მშვიდობაში საკუთარი წვლილის შეტანაზე, მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს განხილული ევროკავშირი, რომელმაც თავისი არსებობით უკვე დიდი როლს თამაშობს გლობალური მშვიდობის დამყარებაში.

თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, მათი ანტაგონისტური წარსულის მიუხედავად დღეს ერთმანეთთან სამხედრო დაპირისპირება არ აქვთ, აღარ არის საკმარისი ამ გაერთიანების მნიშვნელობაზე საუბრისას. მსოფლიო დღითი დღე იცვლება. შესაბამისად ის საფრთხეები რაც 70 წლის წინ არსებობდა ჩანაცვლებულია სხვა, არანაკლები საშიშროებებით. ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ის როლი, რომელსაც თამაშობს ევროპული გაერთიანება მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებაში და გაანალიზოს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის მის მისწრაფებებს.

სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებით სამხედრო ძალის მიხედვით მსოფლიოს პირველ 11 სახელმწიფოდან 4 ევროკავშირის წევრია (Global Firepower, 2019). ევროკომისიის ოფიციალური მონაცემებით ევროკავშირი არის მსოფლიოში პირველი ეკონომიკა და ასევე მსოფლიო ბაზარზე არაერთ სხვა კატეგორიაში იკავებს პირველ ადგილს - მაგ. საერთაშორისო ინვესტიციები, წარმოებული საქონელი და მომსახურება და ა.შ. (European Commission, 2019). ამას ემატება ისიც, რომ ევროკავშირს აქვს დიდი სურვილი იყოს ეფექტიანი საერთაშორისო აქტორი „რათა დაიცვას თავისი ფუნდამენტური ინტერესები და ფასეულობები, გაავრცელოს საკუთარი პოლიტიკური

მიზნები, მოახდინოს კრიზისების პრევენცია ან მნიშვნელოვნად დაეხმაროს სტაბილურობის აღდგენას“ (European Commission and HR, 2013).

შედეგად ევროკავშირი, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკით ახორციელებს არაერთ სამშვიდობო მისიასა და ოპერაციას. 2018 წლის მონაცემებით ევროკავშირის ეგიდით მიმდინარეობს 10 სამოქალაქო და 6 სამხედრო მისია და ოპერაცია რომელშიც ჩართულია 5000 სამხედრო თუ სამოქალაქო პირი. ამ მშვიდობისდამცველი ღონისძიებების მთავარი მიზანი არის მშვიდობის შენარჩუნება, კონფლიქტის პრევენცია, საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება, კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, ადამიანთა ტრეფიკინგისა და მეკობრეობის პრევენცია (European External Action Service, 2018). თუმცა ამავედროულად ჩნდება კითხვა ჩატარებული თუ მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. საინტერესოა დავადგინოთ რეალურად რა როლს თამაშობს ასეთი დიდი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის მქონე კავშირი საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

ევროკავშირის უსაფრთხოების კუთხით საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას აუცილებელია პირველ რიგში განხილულ იქნას ის ძირითადი ინსტრუმენტები რომელთა საშუალებითაც ხდება ამ პოლიტიკის შექმნა და განხორციელება. როგორც ყველასთვის ცნობილია ევროკავშირი დაფუძნებულია წევრ სახელმწიფოებს შორის მიღებულ ხელშეკრულებებზე და შეთანხმებებზე, მაგალითად, რომის (1957), მასტრიხტის (1992), ამსტერდამის (1997), ნიცის (2001) და ლისაბონის (2007) ხელშეკრულებები. ყველა დოკუმენტში ხაზი აქვს გასმული, რომ ევროკავშირი იმართება ერთი ინსტიტუციური ჩარჩოს მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ იგივე ჩარჩო გამოიყენება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას, გამოიყოფა პოლიტიკის შემუშავების ორი მეთოდი: საზოგადო (“community method”) და სახელმწიფოთაშორისი ანუ ინტერგოვერნმენტალური (“intergovernmental method”). საზოგადო მეთოდი არ არის სუპრანაციონალიზმის სინონიმი. ეს უკანასკნელი გულისხმობს წევრი სახელმწიფოების მიერ კონტროლის მთლიანად დაკარგვას, მაშინ როდესაც, საზოგადო მეთოდი ემსახურება ინსტიტუციური ბალანსის შენარჩუნებას 4 ინსტიტუტს შორის. ეს ინსტიტუტებია სუპრანაციონალური ევროკომისია, ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო (Keukeleire &

Delreux, 2014). რაც შეეხება მეორე, სახელმწიფოთაშორის მეთოდს, მისი მთავარი პრინციპია სახელმწიფოების სრული მონაწილეობა და კონტროლი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ეს მიიღწევა ორი გზით: სახელმწიფოთაშორისი კოოპერაციით და სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციით. პირველი მათგანის მიხედვით სახელმწიფოები არ გადასცემენ კომპეტენციას ევროკავშირს, თუმცა გაერთიანების ინსტიტუციური ჩარჩოს შიგნით თანამშრომლობენ და საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ახდენენ საერთო საგარეო პოლიტიკის ფორმირებას. სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაცია კი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების მიერ ევროკავშირისთვის კომპეტენციის ნაწილის გადაცემას, თუმცა კავშირის ინსტიტუციური ჩარჩოს შიგნით პოლიტიკის შექმნის პროცესზე მკაცრ კონტროლს. აღნიშნული კონტროლი გამოიხატება დომინანტური პოზიციით ევროკავშირის საბჭოში, სადაც გადაწყვეტილების მიღება ხდება ერთსულოვნების პრინციპით. აღსანიშნავია, რომ აუცილებელი არ არის საგარეო პოლიტიკის რომელიმე გადაწყვეტილება ზემოთ აღწერილი ორიდან მხოლოდ ერთი კონკრეტული მეთოდით განხორციელდეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისას ორივე მეთოდი ერწყმის ერთმანეთს. კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასა და საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში განმსაზღვრელია პოლიტიკის შემუშავების სახელმწიფოთაშორისი მეთოდი.

კვლევის პრობლემა

ევროკავშირმა, რომელიც არის მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ერთობა და პირველი ეკონომიკა, 1992 წლიდან დღემდე არაერთხელ გამოხატა სურვილის გახდეს მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორი უსაფრთხოებისა და მშვიდობის დარგში. შედეგად, 2003 წლიდან 2019 წლის 1 იანვრამდე მისი ეგიდით განხორციელდა 35 სამხედრო თუ სამოქალაქო მისია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ მისიებიდან ნაწილი გამოირჩეოდა ეფექტიანობის მაღალი დონით, ხოლო მეორე ნაწილი ცალსახად არაეფექტიანი იყო. ამგვარად, ნაშრომის პრობლემას წარმოადგენს ის უცნაური თავისებურება, რასაც ევროკავშირის სამშვიდობო მისიების ეფექტიანობის განსხვავებული დონე ეწოდება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს რა განაპირობებს ევროკავშირის მიერ ორგანიზებული და განხორციელებული სამშვიდობო მისიების ნაწილის არაეფექტიანობას იმ ფონზე, როდესაც არსებობს ასევე ევროკავშირის ეგიდით ჩატარებული წარმატებული ოპერაციები. აღნიშნულ თემაზე არსებული ფართო ლიტერატურის გაცნობის შედეგად დავადგინეთ, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული შეთანხმებულობა ან მისი არარსებობა მნიშვნელოვნად მოქმედებს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე. ამგვარად, კვლევის მიზანია დაადგინოს ის მიზეზი რაც განაპირობებს ევროგაერთიანების სამშვიდობო მისიების ნაწილის არაეფექტიანობას.

ნაშრომში ვეცდებით პასუხი გავცეთ **საკვლევ კითხვას**: რა არის ევროკავშირის სამშვიდობო მისიების არაეფექტიანობის მიზეზი?

კვლევის ჰიპოთეზაა, რომ წევრი სახელმწიფოების შეუთანხმებლობა იწვევს დიდი სახელმწიფოების შეზღუდულ მონაწილეობას უშუალოდ მოქმედებებში, რაც თავის მხრივ განაპირობებს ევროკავშირის არაეფექტიან სამშვიდობო მისიებს. ცვლადები გრაფიკულად შემდეგნაირად გამოისახება:

C L N → →

C - დამოუკიდებელი ცვლადი - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შეუთანხმებლობა

N - დამოკიდებული ცვლადი - არაეფექტიანი სამშვიდობო მისიები

L - შუალედური ცვლადი - დიდი სახელმწიფოების მცირე ჩართულობა უშუალოდ ოპერაციებში

ცვლადების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია

C - ტერმინ „შეუთანხმებლობა“-ში (incoherence/lack of coherence) ჩვენ ასევე ვგულისხმობთ არაერთსულოვნებას, რომელიც ტექსტში მის აბსოლიტურ სინონიმად

გამოიყენება. ხშირად ხდება ამ ინგლისური ტერმინის აღრევა ტერმინში თანმიმდევრულობა (consistency). შეუთანხმებლობაში იგულისხმება წევრი სახელმწიფოების სისუსტე მიიღონ ერთი საერთო გადაწყვეტილება და პირნათლად შეასრულონ იგი. არაერთსულოვნების გაზომვას მოვახდენთ ნიკოლ კონიგის კრიტერიუმებით: თანმიმდევრულობა, მიზნებზე შეთანხმება, ინტერაქცია, წესების და პირობების შესრულება (Koenig, 2016).

N - ევროკავშირის სამშვიდობო მისიებში მოვიაზრებთ იმ მისიებს, რომლებიც ევროპული საბჭოს რეზოლუციით იქნა მიღებული. აუცილებელი არ არის ეს მისია პრაქტიკულად განხორციელებულიყო. ვინაიდან თვითონ ის ფაქტი, რომ მისიის რეზოლუცია იქნა შექმნილი, თუმცა არ მოხდა მისი ძალაში შესვლა თავისთავად წარმოადგენს საინტერესო ინფორმაციას ამ მისიაზე.

რაც შეეხება არაეფექტიანობას, ჩვენ მას ვზომავთ იმ შედეგით რაც დადგა მისიის თუ ოპერაციის განხორციელებით. მაგალითად თუ ის მთავარი პრობლემები რის გამოც დაიგეგმა და შეიქმნა ოპერაცია, მისი დასრულების შემდეგაც ისევე აქტუალური და მძიმე დარჩა, მაშინ მიიჩნევა რომ იგი არაეფექტიანი იყო, მიუხედავად იმისა შესრულდა თუ არა ოპერაციის შუალედური მიზნები. მაგალითად თუ კონკრეტული მისიის მიზანია მეომარი მხარეების დამორიშორება და მათი განიარაღება, ბუნებრივია მხოლოდ მათი განცალკევება და დროებითი ცეცხლის შეწყვეტა არაა საკმარისი მისია ეფექტიანად ჩაითვალოს. ამ კუთხით ასევე გამოყენებული იქნება პოლ დიელის მიერ შემუშავებული სამშვიდობო მისიების გაზომვის ორი სტანდარტი: 1. რამდენად აჩერებენ ისინი შეიარაღებულ კონფლიქტს და 2. რამდენად უწყობენ ხელს კონფლიქტის გადაჭრას (Diehl, 1993). თუმცა, ვინაიდან ეს შექმნილია კლასიკური სამშვიდობო მისიების შესაფასებლად და შედარებით ზოგადია, არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ამ ორი ინდიკატორით და ვეცდებით უფრო დეტალურად შევაფასოთ კონკრეტული მისიების ეფექტიანობა.

L - ევროკავშირის წევრი „დიდი სახელმწიფოები“ ეწოდებათ შემდეგ ქვეყნებს: საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია. მათ შორის განსაკუთრებული

ყურადღება მიექცევით ე.წ. დიდი სამეულის (Big Three) სახელმწიფოებს - საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი.

დიდი სახელმწიფოების მცირე, იგივე შეზღუდული ჩართულობა უშუალოდ სამშვიდობო მისიების განხორციელების პროცესში შედარებით სუბიექტური შეფასებაა. ბუნებრივია თუ ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოების ერთი წარმომადგენელიც არ იღებს მონაწილეობას მოქმედებებში ეს ცალსახად არჩართულობაა, თუმცა არ არსებობს ერთხმად აღიარებული ადამიანთა კონკრეტული რაოდენობა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი ან დიდი კონტრიბუცია. ამიტომაც, თითოეულ მისიას ინდივიდუალურად შევაფასებთ და ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით გავაკეთებთ დასკვნას იყო თუ არა სახელმწიფოების ჩართულობა უმნიშვნელოდ მცირე.

კვლევის სტრატეგია და მეთოდოლოგია

კვლევის სტრატეგიად გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის სტრატეგია - შემთხვევის შესწავლა (case study, ქეისის ანალიზი). უფრო კონკრეტულად მისი ერთ-ერთი ტიპი, რომლის მიზანია ჰიპოთეზის შემოწმება (დატესტვა). შესაბამისად, ნაშრომში ორი კრიტიკული ქეისის შესწავლის საფუძველზე იქნება მცდელობა პასუხი გაეცეს საკვლევ კითხვას. ვინაიდან ჩვენ შევისწავლით ევროკავშირის სამშვიდობო მისიების არაეფექტიანობას, საჭირო იყო გაგვეანალიზებინა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ისეთი მისია, რომელიც მოგვცემდა დასკვნის გამოტანის საშუალებას. პირველი ასეთი ქეისია ევროკავშირის ჩართულობა ლიბიის კრიზისში, ხოლო მეორე - კონფლიქტის მოგვარების მცდელობა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ევროგაერთიანების პასუხი ლიბიაში განვითარებულ მოვლენებზე თავისთავად უნიკალური და ძალიან საინტერესო შესასწავლია, თუმცა, ბუნებრივია ეს არ არის ერთადერთი მიზეზი. ლიბიის კრიზისი წარმოადგენს შემთხვევას რომლის მოგვარებაშიც ევროკავშირი მაქსიმალურად უნდა ჩარეულიყო უამრავი მიზეზის გამო, თუმცა ეს ასე არ მოხდა. ხოლო კონგოში (დრ) მიმდინარე სამოქალაქო ომი ევროკავშირისთვის პირდაპირ საფრთხეს არ წარმოადგენდა, თუმცა 2003 წლიდან

დღემდე გაიგზავნა 5 მისია რომელსაც სერიოზული შედეგი არ მოუტანია ამ ქვეყნის პოლიტიკურად, სოციალურად თუ ადამიანის უფლებების მხრივ განვითარებაში. ქეისებზე, მათ მიზეზებზე და შედეგებზე დაწვრილებით ვისაუბრებთ ოდნავ მოგვიანებით.

თავად კვლევის მიზანმა და საკვლევი ობიექტის თავისებურებამ განაპირობა თვისებრივი კვლევის მეთოდების არჩევა. კვლევაში გამოყენებული იქნება დაკვირვება, პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზი. პირველად წყაროებში იგულისხმება ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტები: ხელშეკრულებები, შეთანხმებები, რეზოლუციები, კონფერენციების ჩანაწერები, გაერთიანების მთავარი პირების გამოსვლები, განცხადებები, ინტერვიუები. ასევე მოხდება სტატისტიკური მონაცემებზე დაკვირვება და ანალიზი. ვინაიდან ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება, ჩვენ გამოვიყენებთ სხვა მკვლევარების მიერ გაკეთებული ინტერვიუების ანალიზს ჩვენ საკვლევ თემასთან მიმართებით.

თეორია

დიდი ხნის მანძილზე ევროკავშირი სათანადოდ არ განიხილებოდა საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი ორთოდოქსული თეორიების მიერ როგორებიცაა რეალიზმი და ლიბერალიზმი. ამის მთავარი მიზეზი მისი განსაკუთრებული, უნიკალური (*sui generis*) ბუნება იყო. მაშინ როდესაც რეალიზმის პარადიგმის ქვეშ არსებული თეორიები საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორებად სახელმწიფოებს მიიჩნევდნენ, ბუნებრივია ვერ საუბრობდნენ სახელმწიფოთა ისეთ ერთობაზე, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოს დამახასიათებელი ბევრი ნიშანი თუმცა არ იყო სახელმწიფო.

თავად ლიბერალურ თეორიებსაც უჭირდათ ევროკავშირის ანალიზი, რადგან მართალია ისინი საუბრობდნენ არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დიდ როლზე საერთაშორისო სისტემაში, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი იძულებულები იყვნენ ევროკავშირი გაეანალიზებინათ როგორც მულტინაციონალური კორპორაცია ან ტრანსნაციონალური ინტერეს ჯგუფი, რაც ბუნებრივია არ იყო სწორი.

სწორედ ამიტომ, 1950-იანი წლებიდან აღმოცენდა მრავალი ახალი თეორია რომელთა მიზანი იყო აეხსნათ ევროპული ინტეგრაციის პროცესი და შედეგი. ისინი აღწერდნენ როგორ და რატომ ჩამოყალიბდა ევროკავშირი ისეთად როგორც არის დღეს. ინტეგრაციის თეორიები მნიშვნელოვანია ჩვენთვის რამდენადაც ისინი გვეხმარებიან გავიგოთ როგორ მუშაობს გაერთიანება და წარსულის გამოცდილების წყალობით შეგვიძლია ასევე ვივარაუდოთ რა ცვლილებებია მოსალოდნელი მომავალში. ინტეგრაციის თეორიები ასევე გვთავაზობენ ევროკავშირის ინტეგრაციის განსხვავებული მიდგომებით ახსნას, რაც მნიშვნელოვანია თემის უფრო ღრმა და საფუძვლიანი ანალიზისთვის.

1960-იანი წლებიდან დღემდე არსებობს 2 მიდგომა, რომელიც ეხმარება ევროკავშირის მკვლევარებს ინტეგრაციის პროცესის ახსნასა და მომავლის განჭვრეტაში. ეს თეორიებია ნეო-ფუნქციონალიზმი და ინტერგოვერნმენტალიზმი. მიუხედავად უამრავი გამოწვევისა, სხვადასხვა ფორმით ეს თეორიები დღემდე ინარჩუნებენ პოპულარობას. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება ევროკავშირის ინსტიტუტისა თუ პოლიტიკის კვლევას უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დავიწყოთ ამ ორი თეორიის განხილვით.

ინტერგოვერნმენტალიზმი

ინტერგოვერნმენტალიზმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია სახელმწიფოცენტრიზმი (state-centrism), რაც მოიაზრებს ევროპული ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოს როლის უპირველესად დაყენებას. ის ინტეგრაციის პროცესს განიხილავს ნულოვანი ჯამის თამაშის პრინციპებით, სადაც გამარჯვებულს რჩება ყველაფერი. ინტერგოვერნმენტალიზმის მიხედვით ინტეგრაცია შეზღუდულია პოლიტიკის მხოლოდ იმ სფეროებით, რომლებიც უშუალოდ არ ეხება ეროვნულ სუვერენიტეტს. ამ თეორიის მიმდევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ევროპულ ინტეგრაციას წარმართავს წევრი სახელმწიფოების ინტერესები და მოქმედებები“ (Hix, 1999).

ინტერგოვერნმენტალიზმი ვიწრო თუ ფართო გაგებით მომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის პარადიგმიდან. რეალიზმის მთავარი მტკიცება არის ის, რომ საერთაშორისო პოლიტიკა წარმოადგენს ეროვნული ინტერესებით მოქმედი სახელმწიფოების ურთიერთობას ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არსებობს გლობალური მთავრობა რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს (Morgenthau, 1985). რეალიზმის მიხედვით სახელმწიფოები არიან რაციონალურად მოქმედი უნიტარული აქტორები, რომლებიც, სახელმწიფოთა სისტემაში საკუთარი პოზიციის ევოლუციით განსაზღვრავენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს (Rosamond, 2000).

ნეორეალიზმი, კლასიკური რეალიზმის მსგავსად სახელმწიფოებს განიხილავს ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში არსებულ საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებულ აქტორებად, თუმცა, ასევე საუბრობს საერთაშორისო თანამშრომლობის როლზე წესრიგის მისაღწევად, როდესაც ეს წარმოადგენს სახელმწიფოს გადარჩენის რაციონალურ საშუალებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლების აზრით სახელმწიფოები თანამშრომლობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ეხმარებათ თავიანთი მიზნის მიღწევაში. მათი აზრით, ნებისმიერი მცდელობა სახელმწიფოზე მაღლა არსებული გაერთიანების შექმნის, გაამძაფრებს სახელმწიფოებს შორის განსხვავებულობის განცდას და წარმოქმნის პრობლემებს. ნეორეალისტები აღიარებენ საერთაშორისო ინსტიტუტებს რამდენადაც ისინი იქმნებიან არსებული საერთაშორისო ანარქიის შესამცირებლად. შესაბამისად, ევროკავშირს ისინი განიხილავენ როგორც ერთ-ერთ ასეთ ინსტიტუტს. მიუხედავად იმისა, რომ ნეორეალისტები კონკრეტულად ევროპული ინტეგრაციით არასდროს დაინტერესებულან, ძალიან ნათელია მათი გავლენა ინტერგოვერნმენტალიზმზე (Rosamond, 2000). თუმცა აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ ინტერგოვერნმენტალიზმი და (ნეო-)რეალიზმი სინონიმები არ არიან (Church, 1996).

ინტერგოვერნმენტალიზმის ფუძემდებლად მიჩნეულია ამერიკელ-ავსტრიელი მეცნიერი **სტენლი ჰოფმანი**. თეორია წარმოიშვა ნეოფუნქციონალიზმის კრიტიკის საფუძველზე ფედერალისტური დაშვების რეაქციად, რომელიც ამტკიცებდა, რომ ევროპული გაერთიანება საბოლოოდ ტრანსფორმირდებოდა სახელმწიფოდ. 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს

ინტერგოვერნმენტალიზმის თეორია. ამაზე უდიდესი გავლენა მოახდინა შარლ დე გოლის ცარიელი სკამის პოლიტიკამ. როგორც ჰოფმანი აღნიშნავდა, 1960-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო, რომ წევრი სახელმწიფოები მოქმედებდნენ ეროვნული და არა საერთო ინტერესებით (Hoffman, 1995).

ჰოფმანმა ერთმანეთისგან გამოყო “მაღალი პოლიტიკა” (high politics) და “დაბალი პოლიტიკა” (low politics). პირველი მათგანი მოიცავდა ეროვნული იდენტობის და ინტერესების საკითხებს, ხოლო მეორე მათგანი ეკონომიკას და უფრო ტექნოკრატიული იყო. ჰოფმანი ამტკიცებდა, რომ ინტეგრაცია და შესაბამისად „გადაღვრა“ შესაძლებელი იყო ეკონომიკის სფეროში („დაბალი პოლიტიკა“), თუმცა ეს არ მოხდებოდა მაღალი პოლიტიკის სფეროში, სადაც სასწორზე სუვერენიტეტი იდო.

მიუხედავად იმისა, რო ჰოფმანის ანალიზს საფუძვლად რელიზმის დაშვებები ედო, მისი მიდგომა განსხვავდებოდა რელიზმისაგან. როგორც კრიტიკოსები აფასებენ, მისი პოზიცია იყო უფრო სოფისტიკური ვიდრე რეალისტების, ხოლო მისი პოლიტიკური გამჭრიახობა ბევრად უსწრებდა ნეოფუნქციონალისტ თეორეტიკოსებს, რომლებსაც ჰქონდათ პოლიტიკური პროცესების გამარტივებული, პლურალისტური ხედვა (George & Bache, 2001). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჰოფმანისთვის სახელმწიფოები იყვნენ უფრო მეტნი ვიდრე ბილიარდის ბურთები, როგორც ამას რეალისტები მიიჩნევდნენ. მისი მიხედვით „[სახელმწიფოები] არიან კონსტრაქტები, სადაც იდეები, იდეალები, პრეცედენტები, პოლიტიკური გამოცდილება, შიდა ძალები და მმართველი კლასი, თითოეული თამაშობს გარკვეულ როლს“ (Hoffman, 1995).

ინტერგოვერნმენტალიზმის მიხედვით ევროპულ ინტეგრაციას აქვს როგორც მოგება ისე საფასური. შესაბამისად, ევროკავშირის ფარგლებში თანამშრომლობა არის საუკეთესო საშუალება, რათა სწორად მოხდეს შეფასება როგორი ინტეგრაცია არის საუკეთესო ეროვნული ინტერესების უკეთ გასატარებლად. შედეგად, ევროკავშირის შიგნით

თანამშრომლობა არის კონსერვატიული და პრაგმატული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოოპერაციას საერთო არ აქვს იდეოლოგიასთან ან იდეალიზმთან, არამედ ის დაფუძნებულია სახელმწიფოთა რაციონალურ სურვილზე გაუმკლავდეს თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს (Cini & Perez-Solorzano Borragan, 2009).

ინტერგოვერნმენტალიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს ეროვნული სუვერენიტეტის კონცეფცია. სუვერენიტეტი იყო და რჩება ემოციურ ტერმინად, განსაკუთრებით როდესაც საუბარი გვაქვს ევროკავშირის პოლიტიკასთან. ის ასოცირდება ისეთ ცნებებთან როგორებიცაა „ძალაუფლება, ავტორიტეტი, დამოუკიდებლობა და სურვილის განხორციელება“ (Nugent, 1999).

ინტერგოვერნმენტალიზტები ამტკიცებენ, რომ წევრი სახელმწიფოები არა მხოლოდ არიან ევროკავშირის ყველაზე მიშვნელოვანი აქტორები, არამედ ისინი წარმართავენ ინტეგრაციის პროცესს. შესაბამისად, ევროპული კოოპერაცია ეწოდება სუვერენიტეტის გაზიარებას და არა მის გადაცემას ნაციონალურიდან სუპრანაციონალურ დონეზე (Keohane & Hoffmann, 1991). ბუნებრივია, ინტერგოვერნმენტალიზმი არ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოები გარკვეულ ფუნქციებს ნამდვილად გადასცემენ სუპრანაციონალურ ინსტიტუტებს, როგორებიცაა ევროკომისია, ევროპარლამენტი, თუმცა თეორიის მიხედვით ეს ხდება თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით და შესაბამისად განპირობებულია თავად სახელმწიფოების ინტერესებით. ინტერგოვერნმენტალისტები აღნიშნავენ, რომ მთავარი გადაწყვეტილებების მიღება ხდება ევროპულ საბჭოს და ევროკავშირის საბჭოს სამთავრობოთაშორის ინსტიტუტებში.

1980-1990-იან წლებში შედარებით სუსტდება ინტერგოვერნმენტალიზმის თეორია, რადგან განახლდა ინტეგრაციის გაღრმავება, 1986 წელს ხელი მოეწერა single European Act-ს (ერთადერთ ევროპულ აქტს) და შეიქმნა ერთიანი ბაზარი. ჰოფმანის კრიტიკოსი ბენ როსამუნდი განსაკუთრებით მიუთითებდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, როგორც მაღალი პოლიტიკის ინტეგრაციაზე, რაც ერთი შეხედვით ინტერგოვერნმენტალიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. თუმცა იმის დასადგენად თუ რამდენად რელევანტურია კრიტიკა, საჭიროა ამ პოლიტიკის და მის ფარგლებში

მიმდინარე მოქმედებების საფუძვლიანი შესწავლა. სწორედ ეს წარმოადგენს ნაშრომი ერთ-ერთ მთავარ მიზანს. თუ კვების შემდეგ დადგინდა, რომ „მაღალ პოლიტიკაში“ ნამდვილად მოხდა სახელმწიფოების ინტეგრაცია და შესაბამისად, ევროკავშირში მთავარი გადაწყვეტილებების მიღება სუპრანაციონალურ დონეზე მიმდინარეობს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერგოვერნმენტალიზმი, როგორც ევროპული ინტეგრაციის ამხსნელი თეორია, აღარ არის რელევანტური და ასპარეზი უნდა დაეთმოს მის მოწინააღმდეგე ნეოფუნქციონალიზმს.

ნეოფუნქციონალიზმი თავის “დიდების მწვერვალზე” იყო 1950-1960-იან წლებში როდესაც დღითიდრე ღრმავდებოდა ინტეგრაცია. მისი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელია ერნსტ ჰაასი, რომელმაც თავის 1958 წლის წიგნში „ევროპის გაერთიანება“ სათავე დაუდო ამ თეორიას. ჰაასმა ნაშრომში ახსნა ის ფაქტორები რის გამოც ექვსმა დასავლეთ-ევროპულმა სახელმწიფომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაწყვიტა ახალი ფორმის სუპრანაციონალური ორგანიზაციის შექმნა (Haas, 1958). აღსანიშნავია, რომ ჰაასის თავდაპირველ მიზანს წარმოადგენდა დიდი თეორიის შექმნა, რომელიც ახსნიდა რეგიონულ ინტეგრაციას არა მხოლოდ ევროპაში, არამედ სხვა რეგიონებშიც, თუმცა საბოლოოდ ნეოფუნქციონალიზმი ძირითადად მხოლოდ ევროპული ინტეგრაციის პროცესების ახსნით შემოიფარგლება. ამ თეორიის ფუნდამენტურ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოები არ არიან ერთადერთ მნიშვნელოვანი აქტორები საერთაშორისო სისტემაში. შესაბამისად, ნეოფუნქციონალისტები აქცენტს აკეთებენ სუპრანაციონალურ ინსტიტუტებზე და არასახელმწიფოებრივ აქტორებზე, როგორებიცაა ინტერეს ჯგუფები და პოლიტიკრი პარტიები, რომლებიც არიან რეგიონული ინტეგრაციის მთავარი წარმმართველები. ნეოფუნქციონალისტების პასუხი მთავარ კითხვაზე, თუ როგორ იწვევს ერთ კონკრეტულ ეკონომიკურ დარგში კოოპერაცია უფრო ფართო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის გაღმავებას ევროპაში, არის „გადაღვრა“ (spillover). ამგვარად, ნეოფუნქციონალიზმის თეორეტიკოსების მთავარი მტკიცებაა, რომ ერთ სფეროში ეკონომიკური ინტეგრაციაც კი აუცილებლად გაღრმავდება და საბოლოოდ გადაიზრდება პოლიტიკურ ინტეგრაციაში, რომელიც დაგვირგვინდება ერთიანი

სუპრანაციონალური ერთობის შექმნით. ამ ერთობაში გადაწყვეტილებებს მიიღებენ არა ცალკეული წევრი სახელმწიფოების მთავრობები, არამედ, ერთიანი ზეეროვნული მთავრობა (Jensen, 2010).

ნეოფუნქციონალიზმს აკრიტიკებენ როგორც ემპირიულ, ისე თეორიულ საფუძველზე. ემპირიულ დონეზე კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ინტეგრაციის პროცესის შეჩერებაზე 1970-1980-იან წლებში. „ცარიელი სკამის პოლიტიკამ,“ რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, უდიდესი ზიანი მიაყენა ამ თეორიას. ენდრიუ მორავჩიკის მთავარ კრიტიკას წარმოადგენს ნეოფუნქციონალისტების დაშვება, რომ ინტეგრაციის პროცესი იქნება ავტომატური და მუდმივად გაღრმავდება, რომლის მაგალითც რეალურად არც თუ თვალსაჩინოდ ვიხილეთ (Moravcsik, 1993). აღნიშნულმა თეორიამ ახალი სიცოცხლე შეიძინა 1990-იან წლებში ინტერგოვერნმენტალიზმის დასუსტების შედეგად, რადგან გაღრმავდა ევროპული ინტეგრაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროიდან დღემდე მიმდინარე მოვლენების ახსნა შეესაძლებელია როგორც ერთი ასევე მეორე თეორიით. უფრო კონკრეტულად, 1990-იანი წლებიდან ევროკავშირში მოხდა უამრავი ინსტიტუციური ცვლილება რომელთა ერთი ნაწილი სამთავრობოთაშორისო ინსტიტუტებს აძლიერებდა, ხოლო მეორე სუპრანაციონალურს.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ამ ორ თეორიას შორის არსებულ დებატებში კონტრიბუციას. ვცდილობთ კონკრეტული შემთხვევების შესწავლით დავადგინოთ რა დონეზე მოხდა ევროკავშირის ინტეგრაცია ჰოფნაისეულ „მაღალი პოლიტიკის“ სფეროში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნეოფუნქციონალიზმის და ინტერგოვერნმენტალიზმის გარდა ასევე არსებობს ინტეგრაციის სხვა თეორიებიც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ისინი ძირითადად ამ ორი მეგა თეორიიდან მომდინარეობენ და შესაბამისად უფრო ვიწრო სფეროში განიხილავენ ევროკავშირში მიმდინარე პროცესებს. ეს თეორიები ლიბერალ ინტერგოვერნმენტალიზმი, ახალი ინსტიტუციონალიზმი, რომელიც თავის თავად 3 ნაწილად იყოფა რაციონალური არჩევანის, სოციოლოგიური და ისტორიული ინსტიტუციონალიზმი და ბოლოს, მრავალდონიანი მმართველობა. ეს თეორიები მნიშვნელოვანია რომელიმე კონკრეტული კონტექსტის უკეთ გასაგებად და

გასაანალიზებლად, თუმცა ისინი არ არიან აღნიშნული კვლევისთვის რელევანტური, რადგან ნაშრომის მიზანია ინტეგრაციის დანახვა უფრო ფართო სპექტრში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ევროკავშირის საერთაშორისო შესაძლებლობებზე დებატები ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან იღებს სათავეს. პირველ ეტაპზე პოპულარული იყო ის აზრი, რომ ევროგაერთიანება წარმოადგენდა სამოქალაქო - არასამხედრო ძალას - რის გამოც ახალი სახის საერთაშორისო აქტორად მიიჩნეოდა (Duchene, 1973).

სხვები არასამხედრო სიძლიერეს სისუსტედ აფასებდნენ და აცხადებდნენ, რომ თუ გაერთიანებას სურს როდესმე სერიოზულად იქნას აღქმული საერთაშორისო სისტემაში, მაშინ მან აუცილებლად უნდა შეიძინოს სრული სამხედრო პოტენციალი (Bull, 1982). ბუნებრივია ამ მოსაზრების ავტორები რეალისტები იყვნენ, რომლებსაც ვერ წარმოედგინათ სამხედრო ძალის არ მქონე ძლიერი აქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში.

ეს დებატები რაღაც სახით დღემდე გრძელდება. მაგალითად დღესაც გრძელდება საუბარი ევროკავშირის სამოქალაქო ძალაზე. ასევე მეცნიერთა უმეტესობა თანხმდება რომ ის ახალი სახის საერთაშორისო აქტორია, რომელსაც გააჩნია უნარი გაავრცელოს ნორმები და ღირებულებები საერთაშორისო სიტემაში (Sjursen, 2006).

დღესაც მრავლად არიან მეცნიერები, რომელთაც სწამთ, რომ ევროკავშირი მხოლოდ მაშინ შეძლებს თავის თავზე აიღოს ნამდვილი საერთაშორისო პასუხისმგებლობა, როდესაც ეყოლება სერიოზული სამხედრო ძალა. ამ მხრივ, რობერტ კაგანი ევროპული მიდგომის შესანიშნავ შეფასებას გვთავაზობს. კაგანი ამბობს, რომ ევროპელები პრობლემებს განსაკუთრებულად ნაზად და ფაქიზად უდგებიან. ისინი ცდილობენ სხვებზე გავლენის მოხდენას მსუბუქი, არაპირდაპირი ძალით, შესაბამისად, ბევრად უფრო ტოლერანტულები არიან მარცხის მიმართ და უფრო მომთმენები პრობლემის მოგვარებისათვის. ზოგადად ევროპელები პრობლემის მოგვარების საქმეში უპირატესობას ანიჭებენ ისეთ მშვიდობიან მეთოდებს როგორებიცაა მოლაპარაკებები, დიპლომატია, დარწმუნება. ისინი პირველ რიგში საერთაშორისო სამართლით და

საერთაშორისო კონვენციებით ცდილობენ კონფლიქტის მოგვარებას და ცდილობენ მხოლოდ სავაჭრო და ეკონომიკური ბერკეტები გამოიყენონ. უნდა აღინიშნოს რომ ევროპელების ეს მიდგომა არის ერთ-ერთი მიზეზი ევროკავშირის სამხედრო მოქმედებების მოუქნელობის.

პერნილ რიეკერი ანალიზებს ევროკავშირის მოქმედებებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. ის აღნიშნავს, რომ პოლიტიკის თავდაპირველი მიზანი შეექმნა „მეგობრების წრე მაროკოდან რუსეთამდე და შავ ზღვამდე“ ახლოსაც არ არის მიღწევასთან. პირიქით, დღეს ჩვენ ვართ ყველაზე მძიმე უსაფრთხოების გარემოში რომელიც გამოიხატება მიმდინარე კონფლიქტებში სირიაში, უკრაინაში და ლიბიაში. დღეს ევროკავშირის სამეზობლო უფრო კარგად შეფასდება ფრაზით „ცეცხლის წრე“ ვიდრე მეგობრების. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა არაეფექტიანია და საჭიროა მისი ალტერნატიული პოლიტიკის შექმნა. ბუნებრივია მოქმედების ყველა ის განვითარება რაც ევროკავშირის გარშემო ხდება არ არის თავად ევროგაერთიანების მიერ კონტროლირებადი. ავტორის აზრით ევროკავშირს კიდევ აქვს პოტენციური მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონის უსაფრთხოებაში, თუმცა აუცილებელია, რომ გაცნობიერებული იქნას ის ფართო გეოსტრატეგიული ვითარება და რომელზე კონტროლიც ევროკავშირს ნაკლებად აქვს (Rieker, 2016). ამით ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ თუ ევროკავშირს სურს მშვიდობა და უსაფრთხოება მის სამეზობლოში, უფრო დიდი როლი უნდა ითამაშოს ამ მიზნის მიღწევაში, ვინაიდან არსებული სხვა საგარეო ფაქტორები აშკარად ამის საპირისპიროდ მოქმედებენ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ალოგიკურ პოზიციას, რაც ევროპულმა გაერთიანებამ ლიბიის კრიზისისას გამოავლინა.

ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარებული პროექტი EUNPACK -ის ფარგლებში ღრმად მოხდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შეფასება. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მასში არ იყო კრიზისების პასუხის მექანიზმი. ძირითადი ყურადღება ექცეოდა დემოკრატიის გავრცელებას და ინსტიტუტების მშენებლობას ვიდრე დიქტატორულ და ნახევრად დიქტატორულ რეჟიმებთან უსაფრთხოების შეთანხმებების მიღწევას. სამეზობლო პოლიტიკა გათვლილი იყო გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებაზე და ამიტომაც კრიზისის დროს მოუმზადებლობა და არაეფექტიანობა გამოავლინა (Raineri,

Russo, & Harrington, 2017). ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ამ შეფასებიდან კარგად ჩანს, ის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რატომაც შეხვდნენ ევროპული სახელმწიფოები დაბნეულად და მოუმზადებლად „არაბულ გაზაფხულს“ და შესაბამისად, ლიბიაში დაწყებულ სამოქალაქო ომს.

ევროკავშირის არაერთ მკვლევარს აქვს შექმნილი ნაშრომი შეთანხმებულობის (ერთსულოვნების) გავლენაზე ევროკავშირის როგორც საერთაშორისო აქტორის ეფექტიანობაზე, სანდობაზე და სიძლიერეზე. ოფიციალური ბრიუსელი ერთსულოვნებას მოიაზრებს ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ინგრედიენტად. მაგალითად, 2000 წლის 9 ოქტომბერს საბჭოს სხდომაზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ თუ ევროკავშირს სურს საერთაშორისო ურთიერთობებში იყოს ღირსეული მოთამაშე, მაშინ აუცილებელია გაერთიანების საგარეო მოქმედებებში იყოს შეთანხმებულობის მაღალი დონე (Council, 2000).

ფოსტერი და სტოკი ნებისმიერ დონეზე სისტემის წევრებს შორის არსებული შეუთანხმებლობის მთავარ მიზეზად დაპირისპირებულ ინტერესებს და ღირებულებებს ასახელებენ (Foster & Stokke, 1999). ნაშრომში ერთსულოვნება გაგებულია როგორც უთანხმოების არარსებობა და კრიზისის მართვის მრავალ პოლიტიკებს, ინსტრუმენტებს და აქტივობებს შორის არსებული სინერგია რომელიც მიმართულია მიზნის მისაღწევად (Koenig, 2016).

შეთანხმებულობის ანალიზისას გნსაკუთრებით გამოსარჩევია 3 ნაშრომი, განსხვავებული კუთხით განიხილავენ შეთანხმებულობას.

ლერკი და შველნუსი (2006) საუბრობენ ევროკავშირის პოლიტიკების ერთმანეთთან შეუთანხმებლობაზე - და საგარეო პოლიტიკის არაეფექტიანობას ჰორიზონტალური შეთანხმებულობის ნაკლებობით ხსნიან. უფრო კონკრეტულად, ისინი განიხილავენ ევროკავშირის სიკვდილით დასჯისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის პოლიტიკებს. მათ აღმოაჩინეს, რომ გაფართოების პოლიტიკის კონტექსტში გაერთიანება კანდიდატი ქვეყნებისგან კატეგორიულად მოითხოვდა როგორც ანტიდისკრიმინაციულ, ისე კონკრეტულ ჯგუფზე მორგებულ სპეციფიურ კანონმდებლობას, მაშინ, როდესაც თავად ევროპული წესდება არ მიდიოდა

ანტიდისკრიმინაციაზე წინ (Lerch & Schweltnus, 2006). აღნიშნული მეცნიერების აზრით, სწორედ ჰორიზონტალური არაერთსულოვნება იყო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ნაკლებად ეფექტიანობის მიზეზი.

გორმ რაი ოლსენი (2008) ანალიზებს ევროკავშირის აფრიკასთან ურთიერთობას. იგი ასკვნის, რომ გაერთიანების საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფრგლებში არსებული ინიციატივები ხასიათდებოდა ჰორიზონტალური და ინსტიტუციური შეთანხმებულობის ძალიან მაღალი დონით, მიუხედავად ამისა ევროკავშირის პოლიტიკა აფრიკის მიმართ არ იყო წარმატებული. თავად ავტორი ნაშრომში არ განიხილავს ვერტიკალურ შეთანხმებულობას, თუმცა, საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ არაეფექტიანობის მიზეზი ინტერესთა კონფლიქტი იყო (Olsen, 2008).

მიშელ ფეისი (2009) ჰორიზონტალურ შეთანხმებულობას ასახელებს, როგორც ევროკავშირის მოქმედების შემზღუდავ, ხელიშემშლელ ფაქტორს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. იგი ამტკიცებს, რომ ევროკავშირის მოქმედებს რეგიონში ვერ ექნება ნორმატიული საფუძველი, მაშინ, როდესაც თავად გაერთიანების პოლიტიკები არაერთსულოვნანია (Pace, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ეს ნაშრომი მნიშვნელოვან ლიტერატურულ ბაზისს გვაძლევს შეთანხმებულობის შესასწავლად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს სამივე ნაშრომი შექმნილია 2009 წლამდე, ანუ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე. სწორედ ამიტომ, ქვემოთდებარე ნაშრომში შესწავლილია ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ მომხდარი შემთხვევები, რათა მოხდეს ძველი გამოცდილების ახალ მაგალითებზე მორგება და ლიტერატურის გამდიდრება.

როდესაც მიმოვიხილავთ ლიტერატურას ევროკავშირის როლზე საერთაშორისო სისტემაში არ შეიძლება არ შევეხოთ ევროკავშირის დაფინანსებულ 3 წლიან (2009-2012) პროექტი EU – GRASP, რომელშიც ჩართლი იყო ევროპის 9 წამყვანი უნივერსიტეტი. პროექტის მიზანი იყო შეესწავლათ ევროკავშირი, როგორც გლობალურ-რეგიონული აქტორი უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. კვლევის შედეგად გამოყოფილს იქნა 3 დეტერმინანტი, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის როლს მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებაში. ესენია:

შესაძლებლობა (Capacity) (ინსტიტუციური, მატერიალური, ადამიანური, ოპერაციული და ფინანსური) მისიების ჩასატარებლად. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ შესაძლებლობებში არ იგულისხმება მხოლოდ რესურსები, აქ ასევე მნიშვნელოვანია მმართველი (ბრძანების მიმცემი) სტრუქტურის დახვეწილობა.

სურვილი (Willingness) გამოყო რესურსები უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნებისთვის - ძირითადად განპირობებული წევრი სახელმწიფოების პრიორიტეტებით. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში მთავარ გადაწყვეტილებებს წევრი სახელმწიფოები იღებენ. სწორედ ეს ართულებს ამ სფეროში საერთო სტრატეგიული პოზიციის გამოძებნას. თითოეული სახელმწიფო ცდილობს საკუთარი ეროვნული ინტერესები მაქსიმალურად გაატაროს.

თანხმობა (Acceptance) როგორც შიდა ისე გარე, რომ ევროკავშირი იყოს მშვიდობისა და უსაფრთხოების განმაპირობებელი მთავარი აქტორი. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის პოზიცია ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე, რადგან ერთ მხრივ ისინი წარმოადგენენ გაერთიანების ბერკეტს გლობალურ დონეზე და მეორე მხრივ შესწევთ უნარი დადებით გავლენა მოახდინონ საკუთარი ქვეყნის ჩართულობის სურვილიზე. არასამართლიანია ევროკავშირის არაეფექტიანობა ამ სფეროში დავაბრალოთ ინსტიტუციურ კონფიგურაციებს ან რამე ხარვეზებს და სრული პასუხისმგებლობა არ დავაკისროთ სახელმწიფოებს და მათ პოზიციებს (EU-GRASP, 2012).

გამოყოფილი სამი დეტერმინანტიდან 2 აშკარად თავის თავში მოიაზრებს წევრი სახელმწიფოების ერთსულოვნებას, ხოლო მესამე მათგანი - შესაძლებლობა, წარმოუდგენელია განმტკიცდეს წევრი ქვეყნების თანხმობის გარეშე. ამგვარად, ნაშრომში კონკრეტული შემთხვევების ანალიზს მოვახდენთ ამ დეტერმინანტთა ჭრილში.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის ძირითადი ნაწილის პირველ თავში ზოგადაა განხილული ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა. ამავე თავშია ტერმინი „შეთანმებულობი“ კატეგორიზაცია და მისი დეტალური განხილვა. პირველი თავი ასევე ეხება ევროკავშირის კრიზისების მართვის ინსტრუმენტებს. შემდეგ თავში დეტალურადაა გაანალიზებული ლიბიის ქეისი. ის იწყება ფაქტების მოკლე მიმოხილვით და დაწვრილებით აღწერს მისი EUFOR ლიბიის ირგვლივ მიმდინარე მოქმედებებს. ამავე თავში სათითაოდაა განხილული ევროკავშირის წევრი დიდი სახელმწიფოების საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და იტალიის როგორც ლიდერების ისე მოსახლეობის განწყობები. კვლევის მესამე თავში საუბარია მეორე, კონგოს ქეისზე. მეორე თავის მსგავსად ისიც იწყება ისტორიული მონაცემების მოხმობით და შემდეგ განხილულია ქვეყანაში განხორციელებული ევროკავშირის სამშვიდობო მისიები. ნაშრომის შემდეგ ნაწილში მოყვანილია ევროკავშირის წარმატებული სამშვიდობო მისიების მაგალითები და მოკლედ საუბარი მათი წარმატების მიზეზებზე. კვლევის ბოლო თავში ახსნილია თეორიის როლი მოცემული ქეისების ანალიზში. ნაშრომი სრულდება დასკვნით და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალით.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კვლევა ტრადიციული საგარეო პოლიტიკის ანალიზის მეთოდებით ძალიან რთულია, რადგან ევროკავშირი არ არის სახელმწიფო და მისი საგარეო პოლიტიკა ძირითადად დაკავშირებული რბილი ძალით მოქმედებასთან. ამ კუთხით ევროკავშირი წარმოადგენს ახალი სახის აქტორს (*sui generis*) მსოფლიოში და არის ევროპაში საგარეო პოლიტიკის დრმა ტრანსფორმაციის კარგი მაგალითი. ვინაიდან ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირმა საკუთარი საზღვრების გაზრდის ხარჯზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპული სახელმწიფოების ფორმირებაში, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა ხშირად მიჩნეულია მისი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად (Aggestam, 2012). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინსტრუმენტი ნაკლებად ეფექტიანი

შეიძლება იყოს მომავალში, რადგან გაფართოება ყოველთვის ვერ იქნება შესაძლებელი და შესაბამისად საჭიროა სხვა ინტრუმენტებზე დაკვირვება და მათი კვლევა. (ბოლო გაფართოება 2013 წელი - ხორვატია).

ევროკავშირის ამჟამინდელ საგარეო პოლიტიკაზე კარგად მეტყველებს საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის, კეტრინ ეშტონის განცხადება: “ევროკავშირს სურს იყოს ერთსულოვანი და თანმიმდევრული საერთაშორისო აქტორი რათა „დაიცვას საკუთარი ფუნდამენტური ინტერესები და ღირებულებები, განახორციელოს თავისი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნები და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს კრიზისების თავიდან აცილებასა და სტაბილურობის აღდგენაში“ (European Commission and HR, 2013). წლების მანძილზე, აღნიშნული რიტორიკა განსხვავებული ხარისხით იყო ასახული ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე საგარეო პოლიტიკაში. ამის მაგალითებია გაერთიანების ჩაურევლობა იუგოსლავიის დაშლისას წარმოშობილ კონფლიქტში 1990-იანი წლების დასაწყისში, 2003 წელს ამერიკის თაოსნობით ერაყში განხორციელებულ ჰუმანიტარულ ინტერვენციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით კონტინენტის ორად გაყოფა. ერაყში ჰუმანიტარული ინტერვენციის საკითხზე წევრ სახელმწიფოებს შორის შექმნილი უთანხმოებიდან ძალიან მალე ევროკავშირმა გამოსცა პირველი სტრატეგიული დოკუმენტი - „ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია“ (2003). სტრატეგიაში ნათქვამი იყო, რომ ევროკავშირს მხოლოდ მაშინ შეეძლება თავისი სრული პოტენციალის გამოყენება, როდესაც ის გახდება უფრო ერთსულოვანი. დოკუმენტში დაკონკრეტებული იყო, რომ „უფრო დიდი შეთანხმებულობა საჭიროა არა მხოლოდ გაერთიანების ინსტრუმენტებზე, არამედ მისი წევრი სახელმწიფოების საგარეო აქტივობებზეც“ (Council, 2003). აღნიშნული დოკუმენტი გაჯერებული იყო ისეთი ფრაზებით როგორცაა ერთსულოვნება (6-ჯერ იყო ნახსენები), შეთანხმებულად მოქმედება (5-ჯერ), კოორდინაცია(8-ჯერ). სწორედ ამიტომ, 6 წლის შემდეგ ლისაბონის ხელშეკრულებამ (2009), რომლის მთავარი მიზანი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში შეთანხმებულობის გაზრდა იყო, გააჩინა მოლოდინი, რომ საბოლოოდ მივიღებდით პოლიტიკურად ერთსულოვან ევროპას (Koenig, 2016). თუმცა, ლისაბონის შეთანხმების შემდეგ, ამ მოლოდინმა ვერ გაუძლო საგარეო პოლიტიკის პირველივე კრიზისს და გაუჩინარდა. 2011 წლის დასაწყისში ევროპელები ღიად

დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ლიბიის კრიზისზე რეაგირების ფორმებზე და ვერ შეძლეს ერთ საერთო პოზიციაზე შეთანხმება. შედეგად, თავიდან ვერ იქნა არიდებული კონფლიქტის ესკალაცია და მსოფლიომ მიიღო რეგიონი, რომელიც დღეს, 8 წლის შემდეგაც კი ცხელ წერტილად რჩება. ლიბიის კონფლიქტი არ იყო ერთადერთი სისხლიანი დაპირისპირება, რომლის მოგვარებაც მსოფლიომ და მასთან ერთად ევროკავშირმა ვერ შეძლო. თუმცა ასევე არსებობს და არსებობდა კრიზისები, რომელთა მოგვარებაშიც ევროპული საზოგადოება წარმატებულ როლს თამაშობს. ამგვარად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ და გავანალიზოთ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა **შეუთანხმებლობა**, როგორც გაერთიანების მიერ კრიზისების მართვაზე უარყოფითი გავლენის მქონე ფენომენი.

„შეთანხმებულობის“ კატეგორიზაცია

ნუტალი გამოყოფს შეთანხმებულობის 3 სახეს: ვერტიკალურ, ჰორიზონალურ და ინსტიტუციურ შეთანხმებულობას (Nuttall, 2005). ვერტიკალური შეთანხმებულობა აღწერს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკებსა და ევროკავშირის დონეზე შექმნილი სუპრანაციონალური პოლიტიკების ინტერაქციას. ეს ბუნებრივია რთული პროცესია როდესაც წევრი სახელმწიფოები მოქმედებენ ეროვნული იტერესებით, რომელიც არაა თანხვედრაში ევროკავშირის დონეზე შეთანხმებულ პოლიტიკასთან. ვერტიკალური შეუთანხმებლობის კლასიკური მაგალითები კარგად ჩანს სანქციებთან მიმართებაში. მაგალითად, ევროკავშირის მიერ ზიმბაბვეს ლიდერის წინააღმდეგ განხორციელებული სანქციის მიუხედავად, რაც ითვალისწინებდა მისი ვიზის დაბლოკვას და ევროკავშირის ტერიტორიაზე არ შემოშვებას, საფრანგეთმა მოიწვია ის 2003 წლის კანის საფრანგეთ-აფრიკის სამიტზე. იგივე პიროვნება, პრეზიდენტ რობერტ მუგაბე, ესწრებოდა რომის პაპის, იოანე პავლე მეორეს დაკრძალვას რომში. უფრო მეტიც, ევროკავშირის საბჭოს პორტუგალიის პრეზიდენტობის პერიოდში ევროკავშირისთვის მიუღებელი დიქტატორი დაპატიჟებული იყო 2007 წლის ევროკავშირ-აფრიკის სამიტზე ლისაბონში (Kubosova, 2007). აღნიშნული მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ სუპრანაციონალურ

დონეზე მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის არ არის გაზიარებული არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მიერ, არამედ თავად ევროკავშირის სამთავრობოთაშორისი ინსტიტუტის მიერაც კი.

ჰორიზონტალური შეთანხმებულობა ეხება ერთ იერარქიულ ან ორგანიზაციულ დონეზე არსებული განსხვავებული პოლიტიკების ურთიერთობას. მაგალითად, ევროკავშირის დონეზე არსებულ სხვადასხვა პოლიტიკებს შორის შეთანხმებულობა. უფრო კონკრეტულად, პოლიტიკები ერთმანეთთან ჰორიზონტალურად შეთანხმებულია, თუ მათი მიზნები და მისი მიღწევის საშუალებები ერთმანეთთან თანხვედრაშია და არ ეწინააღმდეგება. იმდენად მრავალფეროვანია ევროკავშირის გადაწყვეტილებები, რომ არსებობს საშიშროება რაღაც ეტაპზე ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდნენ. ამის კარგი მაგალითია ჰუმანიტარული პოლიტიკის წინააღმდეგობაში მოსვლა სამხედრო და პოლიტიკის ასპექტთან და პირიქით. როდესაც აუცილებელი ხდება ჰუმანიტარული დახმარების ინტეგრაცია უფრო ფართო სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიასთან, ჩნდება იმის საშიშროება, რომ ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება არ იყოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი (De Coning, 2007). ასევე, სავსებით შესაძლებელია სრულიად მიუკერძოებელი ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებამ გაამძაფროს ან გაახანგრძლივოს კონფლიქტი, რადგან მხარეები გაძლიერდნენ თუნდაც საჭირო საკვები და პირველად მოხმარების პროდუქტებით (Macrae & Leader, 2001).

რაც შეეხება, მესამე სახის, (ინტერ-)ინსტიტუციურ შეთანხმებულობას, მან მნიშვნელობა მოიპოვა ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციის გაზრდასთან ერთად. ის ასევე მიიჩნევა ჰორიზონტალური ერთსულოვნების ქვე-კატეგორიადაც (Nuttall, 2005) და მოიცავს ევროკავშირის დონეზე განსხვავებულ ინსტიტუციურ აქტორებს შორის დაპირისპირების არარსებობას. ამგავრად, ინსტიტუციური ერთსულოვნება ეხება ევროკავშირის ინსტიტუტებსა და კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელ აქტორებს შორის შეთანხმებულობას. მაგალითად, კომისიასა და საბჭოს სამდივნოს შორის ურთიერთობა.

ევროკავშირის კრიზისების მართვის ინსტრუმენტები

2003 წელს საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (სუთპ) შემუშავებიდან დღემდე ევროკავშირი ჩართული იყო ათეულობით სამშვიდობო ოპერაციაში. ეს ოპერაციები მოიცავდა საპოლიციო, კანონის უზენაესობის, სასაზღვრო დახმარების, უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების, მონიტორინგის და სამხედრო მისიებს. ეს მისიები კარგად ასახავს ევროკავშირის ამბიციას იყოს გახდეს მნიშვნელოვანი აქტორი გლობალურ უსაფრთხოებაში. აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო მისიები არ არის ის ერთადერთი რითაც ევროპული გაერთიანება ახდენს გავლენას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე კონფლიქტებზე. თავისი მიზნების მისაღწევად ევროკავშირი ასევე იყენებს განვითარების და ჰუმანიტარულ დახმარებას, ეკონომიკურ სანქციებს, დიპლომატიურ და პოლიტიკურ ზეწოლას, ისეთ პოზიტიურ სტიმულატორებს როგორცაა ცალმხრივი სავაჭრო უპირატესობის მინიჭება. როგორც ჩანს, გაერთიანებას გააჩნია კრიზისების მართვის მრავალი ინსტრუმენტი, თუმცა, როგორც არაერთი მკვლევარი, მათ შორის ჯულია შმიდტი, აღნიშნავს ევროკავშირის მცდელობა მოახდინოს კონფლიქტის პრევენცია ან მისი გადაჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს წარმატებული, როდესაც ეს მრავალი ინსტრუმენტი ერთმანეთთან კოორდინაციაში მოქმედებს (Schmidt, 2012). შესაბამისად, მრავალი მეცნიერის აზრით, კრიზის ეფექტიანი მართვისათვის არაძალისმიერ მეთოდებთან ერთად, ხშირ შემთხვევებში აუცილებელია ევროკავშირმა გამოიყენოს სამხედრო ძალა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში განვიხილავთ ლიბიისა და კონგოს შემთხვევებს, როდესაც ევროკავშირმა განახორციელა ან ჰქონდა მცდელობა განეხორციელებინა სამხედრო სამშვიდობო მისია. ნაშრომში შევაფასებთ ამ მისიების ეფექტიანობას და გავაანალიზებთ იმ ფაქტორებს, რომლებმაც დადებით ან უარყოფით როლი ითამაშეს მათ წარმატებაში.

ლიბიის ქეისი არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ევროკავშირის სამშვიდობო მისიებზე საუბრისას. ნაშრომში ამ შემთხვევის შერჩევა მოხდა იმაზე დაყრდნობით, რომ ეს იყო კრიზისი, სადაც უამრავი მიზეზი არსებობდა ევროკავშირის მასში აქტიური ჩართულობის, თუმცა ეს ასე არ მოხდა. ეს მიზეზებია: 1. ლიბია არის ევროკავშირის უშუალო მეზობელი სამხრეთიდან, შესაბამისად, სამოქალაქო ომი ამ სახელმწიფოში

პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა ევროკავშირის ქვეყნებს. 2. ლიბია ათწლეულების მანძილზე იყო აფრიკის კონტინენტიდან ევროპისკენ მიმდინარე ლტოლვილთა სატრანზიტო ქვეყანა. იმიგრაციის საკონტროლებლად და დასარეგულირებლად ევროკავშირის პირდაპირ ინტერესში იყო მშვიდობის დამყარება ამ ქვეყანაში. 3. ლიბიაში მიმდინარეობდა ჰუმანიტარული კატასტროფა. ევროგაერთიანების, როგორც მსოფლიოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დამცველი ინსტიტუტის პასუხისმგებლობა იყო შორიდან გულგრილად არ ეყურებინა როგორ პირდაპირ ძალადობდა ავტორიტარული სახელმწიფო თავის მოქალაქეებზე. 4. ნატოს სურდა ევროკავშირის ჩართვა კონფლიქტის მოგვარების საქმეში. მიუხედავად ამ ჩამოთვლილი მიზეზებისა ევროკავშირმა ვერ მოახერხა ეფექტური სამხედრო ოპერაციის განხორციელება თავის სამხრეთ სამეზობლოში, რისი მიზეზიც იყო წევრ სახელმწიფოთა განსხვავებული პოზიციები და შეუთანხმებლობა.

რაც შეეხება კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (დრ), აღსანიშნავია, რომ ამ აფრიკულ ქვეყანაში ევროკავშირმა 2003 წლიდან 5 სამშვიდობო მისია გააგზავნა, თუმცა უშედეგოდ. კონგო (დრ) დღემდე რჩება მსოფლიოში ყოველაზე მძიმე და კრიზისულ რეგიონებს შორის. ლიბიასგან განსხვავებით, ევროკავშირის გადაწყვეტილება 5 მისია გაეგზავნა კონგოში (დრ) ძირითადად ნორმატიული არგუმენტით აიხსნება. კონგოდან არ მომდინარეობდა ევროგაერთიანებისთვის პირდაპირი საფრთხე და არც აფრიკელი ლტოლვილების სატრანზიტო ქვეყანა არ იყო. თუმცა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების მასობრივი დარღვევების შესაჩერებლად ბრიუსელში არაერთხელ იქნა მიღებული მასში ჩარევი გადაწყვეტილება.

ქეისი: ლიბია

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ევროკავშირის პასუხი ლიბიის კრიზისზე რამდენადაც ის არაერთი დიპლომატის, ექსპერტისა თუ მეცნიერის მიერ საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კოლაფსად იწოდება. უპირველეს ყოვლისა,

აუცილებელია დეტალურად განვიხილოთ ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენები და ყველანაირი კონტექსტის გათვალისწინებით მოვახდინოთ ევროკავშირის მოქმედებების ანალიზი.

კრიზისის დასაწყისი

იტალიელების, ბრიტანელების და ფრანგების კოლონიური მმართველობის შემდეგ 1951 წელს ლიბია გახდა კონსტიტუციური მონარქია. 1969 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ქვეყნის სათავეში მოვიდა მუამარ კადაფი. მისი მმართველობა დაფუძნებული იყო არაბ ნაციონალიზმზე და ანტი-იმპერიალიზმზე. ძალიან მალე ლიბიამ შეიძინა ანტიდასავლური, ტერორისტების მფარველი სახელმწიფოს სახელი (Zoubir, 2009). თუმცა რეალურად ურთიერთობა ლიბიასა და დასავლეთს შორის გამწვავდა ადრეულ 1990-იან წლებში, როდესაც ლიბია დადანაშაულებული იქნა ამერიკული (1988) და ფრანგული (1989) თვითმფრინავების ჩამოგდებაში. 1992-1993 წლებში გაერომ სანქციები დაადო ლიბიის ნავთობის და ავიაიმოსვლის სექტორებს. ლიბიის საერთაშორისო იზოლაცია დასრულდა 1999 წელს, როდესაც ავიაკატასტროფებში ეჭვმიტანილები გადასცეს შოტლანდიის სასამართლოს გასასამართლებლად.

2000-იან წლებში გაღრმავდა ეკონომიკური და დიპლომატიური კავშირები ლიბიასა და ევროპას შორის. 2006 წელს ლიბია იყო ევროპის სიდიდით მე-3 ნედლი ნავთობის და მე-6 ბუნებრივი აირის მიმწოდებელი ქვეყანა. ლიბიაზე მოდიოდა ასევე ევროპული საქონლის ექსპორტის დიდი წილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მჭიდრო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ძალიან დაახლოვა კადაფი ევროპული სახელმწიფოების ლიდერებთან. მაგალითად 2007 წლის დეკემბერში საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ის პარიზში მიიღო. 2008 წლის აგვისტოში იტალიის პრემიერ მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ მოაწერა ხელი ლიბიასთან მეგობრობის შეთანხმებას, ხოლო ერთ წილს შემდეგ მისი ლიდერი დიდი პატივით მიიღო რომში. დაახლოებით იგივე სცენარით განვითარდა ლიბიის ურთიერთობები

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერთან და გერმანიის მაშინდელ კანცლერ გერჰარდ შრედერთან. 2007 წლიდან ევროკავშირმაც გაააქტიურა ურთიერთობები ლიბიასთან. ერთადერთი, ვინც არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა მუამარ კადაფის მიმართ იყო ანგელა მერკელი, რომელმაც შრედერი ჩაანაცვლა გერმანიის კანცლერის თანამდებობაზე. ამგვარად, 1999 წლიდან 2010 წლამდე ევროპული სახელმწიფოები და მათი ლიდერები ძალიან დაუახლოვდნენ დიდი ხნის მანძელზე დასავლეთის მტრად ცნობილ ლიბიის დიქტატორ მუამარ კადაფის ისე, რომ ამ ქვეყანაში არანაირი წინსვლა არ ყოფილა ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიზაციის კუთხით.

ევროპისა და ლიბიის გადაჯაჭვული ურთიერთობების სტაბილურობის ილუზიას ბოლო 2010 წლის დასასრულს მოეღო, როდესაც ტუნისში ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებმა იფეთქა, რამაც სათავე დაუდო სამოქალაქო დაუმორჩილებლობას არაბულ სამყაროში. მას შემდეგ რაც მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციების შედეგად ტუნისის და ეგვიპტის დიქტატორებმა თანმდებობა დატოვეს, 2011 წლის 15 თებერვალს პროტესტმა იხეთქა ლიბიის ქალაქ ბენგაზიში. პროტესტი მალე ქვეყნის სხვ მხარეებსაც გადაედოთ და საბოლოოდ კადაფის კლანის წინააღმდეგ აჯანყებაში გადაიზარდა. 22 თებერვალს კადაფიმ პირდაპირ ეთერში დაიფიცა, რომ იბრძოლებდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, სანამ ლიბიას არ გაწმინდავდა ვირთხებისგან და ტარაკნებისგან, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ (Willey, 2011). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) უშიშროების საბჭომ იმავე დღესვე დაგმო კადაფის ხელისუფლების მიერ პროტესტანტების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებები და მოუწოდა მათ დაეცვათ თავიანთი მოსახლეობა. 26 თებერვალს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1970, რომელიც ლიბიას უწესებდა სამხედრო იარაღის გაყიდვაზე ემბარგოს და მიზანმიმართულ სანქციებს აწესებდა კადაფის რეჟიმის მომხრე პოლიტიკოსების მიმართ.

იმავე წლის 5 მარტს აჯანყებულებმა ბენგაზიში ჩამოაყალიბეს ეროვნული გარდამავალი საბჭო (NTC) და თავიანთ თავი მთელი ლიბიის წარმომადგენლებად გამოაცხადეს.

არაბულმა ლიგამ გაეროს უშიშროების საბჭოში წამოაყენა ინიციატივა ლიბიის თავზე დაწესებულიყო არასაფრენი ზონა. ხელისუფლების მხრიდან მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობის გაგრძელების შედეგად 2011 წლის 17 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ გამოსცა რეზოლუცია 1973 რომელიც აწესებდა ლიბიის თავზე არასაფრენ ზონას და წევრ სახელმწიფოებს აძლევდა უფლებას მიეღოთ „ყველა საჭირო ზომა“ რათა დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა და მათი საცხოვრებელი არეალი თავდასხმის საფრთხისაგან, თუმცა გამორიცხავდა უცხოური ჯარის მიერ ლიბიის ტერიტორიის რაიმე სახის ოკუპაციას (Security Council, 2011). ორი დღის შემდეგ მულტინაციონალურმა კოალიციამ აშშ, ბრიტანეთი და საფრანგეთის წინამძღოლობით საჰაერო იერიში მიიტანა კადაფის სამხედრო ძალებზე. მარტის ბოლოს ჩრდილო ატლანტიკურმა ალიანსმა (ნატო) აიღო ყველა საჰაერო და საზღვაო კომპონენტზე წინამძღოლობა ოპერაციით “Unified Protector”. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, დასავლეთის დახმარებით 2011 წლის 22 აგვისტოს აჯანყებულებმა მოახერხეს დედაქალაქ ტრიპოლის დაკავება, რის შემდეგაც კადაფმა და მისმა ოჯახმა დატოვა ქალაქი. იმავე წლის 16 სექტემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ფორმალურად აღიარა ეროვნულა გარდამავალი საბჭო (NTC) ლიბიის ერთადერთ წარმომადგენლად და მისცა ადგილი გაეროში.

ევროკავშირის მრავალმხრივი პასუხი კრიზისზე

უპირველს ყოვლისა, უნდა აღნიშნოს, რომ ოფიციალური ბრიუსელის რეაქცია ლიბიაში მიმდინარე მოვლენებზე იყო საკმაოდ მყისიერი და კატეგორიული. საპროტესტო აქციების დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში, 20 თებერვალს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესმა წარმომადგენელმა კეტრინ ეშტონმა დაგმო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები და მოუწოდა კადაფის მთავრობას ძალის გამოყენების შეწყვეტისკენ. ორი დღის შემდეგ, კაიროში შეხვედრაზე, მან ასევე გააუქმა ევროკავშირსა და ლიბიას შორის მიმდინარე თანამშრომლობის შეთანხმება. 11 მარტს ჩატარებულ ევროპული საბჭოს სპეციალურ შეხვედრაზე სახელმწიფოთა მეთაურები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და კადაფის მოსთხოვეს დაეტოვებინა ხელისუფლება. ასევე აღსანიშნავია, რომ 22 მაისს

უმაღლესმა წარმომადგენელმა გახსნა ევროკავშირის ოფისი ბენგაზიში, რომლის მიზანი იყო წევრი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინაციის გამარტივება და გარდამავალ ეტაპზე ევროპული დახმარებისათვის ნიადაგის მომზადება. 12 ნოემბერს კი ემტონმა დააფუძნა ევროკავშირის სრულუფლებიანი დელეგაცია ტრიპოლში.

ლიბიაში არეულობის დაწყებიდან ძალიან მალე ევროკავშირმა გააქტიურა კრიზისების მართვის 4 ძირითადი მექანიზმი. ესენი იყო მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა, სანქციების დაწესება და სამხედრო მისიის შექმნა. ერთი შეხედვით მაღალი პოლიტიკური მნიშვნელობის მყისიერი გადაწყვეტილებები მეტყველებს წევრი სახელმწიფოების შეთანხმებულობის მაღალ დონეზე. თუმცა, თითოეული მათგანის ანალიზისას, აღმოვაჩინეთ, რომ რეალურად ვითარება უფრო კომპლექსურია ვიდრე ის ერთი შეხედვით ჩანს. აღნიშნული 4 კრიზისის მართვის მექანიზმიდან პირველი ორი უდავოდ ევროპის მოქალაქეების ინტერესებს ემსახურებოდა. კერძოდ, პროტესტის დაწყებიდან პირველივე კვირას ევროკომისიის მიერ ამოქმედებული მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მექანიზმის მიზანი იყო 5,800 ევროკავშირის მოქალაქის ევაკუაცია ლიბიიდან. რაც შეეხება ჰუმანიტარულ დახმარებას, მართალია ამ კუთხით ევროკავშირი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დონორი იყო, რომელმაც 154,5 მილიონი ევრო გამოყო. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თანხის უმეტესი ნაწილი წავიდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან მიგრანტთა კრიზისის თავიდან ასაცილებლად (Koenig, 2016). ამგვარად, გაერთიანების მიერ გადადგმული ეს ორივე ნაბიჯი თითოეული წევრი სახელმწიფოს ინტერესების გატარება უფრო იყო, ვიდრე კონფლიქტის მოგვარების მცდელობა.

წევრი ქვეყნების მეთაურები აცნობიერებდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების გადარჩენით ვერ შემოიფარგლებოდნენ და ამიტომ ევროკავშირის დონეზე მიღებულ იქნა ლიბიისთვის სანქციების დაწესების შეთანხმება, რომელიც ცდებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებულ ზომებს და მოიცავდა ასევე აქტივების გაყინვას ლიბიის ეროვნული ნავთობ კორპორაციის და მუამარ კადაფისთან დაახლოებული პირებისთვის.

მიუხედავად შექმნისა, ვერ განხორციელდა - არ ჩაერთო რაიმე სახის მოქმედებებში. სწორედ ეს მისია და მისი ანალიზი წარმოადგენს ჩვენი დაკვირვების მთავარ ობიექტს.

EUFOR ლიბია

2011 წლის 1 აპრილს ევროკავშირის საბჭომ მიიღო რეზოლუცია 2011/210/CFSP რომლითაც შეიქმნა ოპერაცია EUFOR ლიბია. ეს იყო საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ორგანიზებული სამხედრო მისია რომლის მიზანი იყო დახმარებოდა გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის სამსახურს (OCHA) შემდეგ მოქმედებებში: იძულებით გადაადგილებულ პირთა მშვიდობიანი მოძრაობა და ევაკუაცია და ჰუმანიტარული სააგენტოების საქმიანობის მხარდაჭერა. იგი შედგებოდა მხოლოდ 1000 ჯარისკაცისაგან, რომელთაც განსაკუთრებული შემთხვევების გარდა ეკრძალებოდათ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა. თავდაპირველად მისიის მოქმედების პერიოდად განისაზღვრა 4 თვე და გამოიყო 7.9 მილიონი ევრო. მისიის სათავო ოფისი მდებარეობდა რომში იტალიელი მეთაურით. სანამ უშუალოდ მისიის სხვა დეტალებზე გადავიდოდეთ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მისია სხვადასხვა დიპლომატის თუ ჟურნალისტის მიერ შეფასებულია როგორც „ოპერაცია მოჩვენება“, „ევროკავშირის ნუგეშისცემის პრიზი“, „პირველი აპრილის ხუმრობა“ და სხვა მრავალი მსგავსი სატირული სახელით. პირველ რიგში პასუხი უნდა გავცეთ კითხვას თუ რატომ ვერ გადავიდა მოქმედების ეტაპზე EUFOR ლიბიის ოპერაცია. თუ კარგად შევისწავლით ვნახავთ, რომ მისიაში ჩადებული იყო რამდენიმე კომპონენტი რაც მისი არაეფექტიანობის გარანტიას იძლეოდა.

1. მის მანდატში ხაზგასმით იყო დაკონკრეტებული, რომ ოპერაცია დაიწყებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის სამსახური (OCHA) ამას მოითხოვდა. მაშინ როდესაც საზოგადოების უმეტესობას გაეროს გაგებაზე პირველი ცისფერჩაფხუტიანი მშვიდობისდამცველები ახსენდება, OCHA მხოლოდ სამოქალაქო დახმარების ოპერაციებზეა პასუხისმგებელი. ამიტომაც, მათი ექსპერტები ეჭვის თვალთ უყურებდნენ ნებისმიერი სახის სამხედროებთან თანამშრომლობას. ბუნებრივია, არც ერთ ჰუმანიტარულ სამსახურს არ სურს კომფლიქტში მონაწილე

მხარეებისთვის ასოცირებული იყოს სამხედროებთან. ამგვარად, მისიის განხორციელების შემაფერებელი ფაქტორი თავად მანდატშივე იყო

2. გაეროს ხელმძღვანელობა თავს შეიკავებდა კიდევ უფრო გაელიზიანებინა დასავლეთის საჰაერო კამპანიის ისედაც წინააღმდეგი რუსეთ და ჩინეთი. არანაირ აუცილებლობას არ მოითხოვდა ევროკავშირს უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა გაერო, მით უფრო, რომ რეზოლუცია 1973 ყველა წევრს აძლევდა ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლებას.

3. ქალაქი მასრატა, სადაც სავარაუდოდ უნდა განხორციელებულიყო ევროკავშირის ოპერაცია, იბომბებოდა ნატოს საბრძოლო თვითმფრინავებით. თუ დიპლომატები ბრიუსელში განასხვავებენ ნატოსა და ევროკავშირის წინამძღოლობით მოქმედ სამხედროებს, გენერალ კადაფის მეზობლები სავარაუდოდ არ იქნებოდნენ ასე „დაკვირვებულები“. ამგვარად, OCHA-ს თანხმობის შემთხვევაში ოპერაცია EUFOR ლიბია ითვალისწინებდა 1000 ევროპელი სამხედროს გაგზავნას ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში არასაომარ მოქმედებებში მონაწილეობის მანდატით. ეს იყო მისია, რომელსაც თვით ლიბიელი აჯანყებულებიც კი ეჭვის თვალთ უყურებდნენ და მის სანაცვლოდ საჰაერო შეტევებს ითხოვდნენ (Gowan, 2011).

4. სანამ საბჭო რეზოლუციას გამოსცემდა გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის სამსახურის უფროსმა, ყოფილმა ბრიტანელმა მინისტრმა, ვალერი ამოსმა პირად საუბრებში უთხრა ევროკავშირის ლიდერებს, რომ დიდი ალბათობით ის არ ითხოვდა ევროპული მისიის ჩართვას, რადგან არ სურდა სამხედრო პერსონალს მისი ჰუმანიტარული მისიის იმიჯზე ცუდად ემოქმედა (Traynor, 2011). არ არსებობს დადასტურებული მტკიცებულება, რომ ეს საუბარი ნამდვილად შედგა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს ეს უფრო ფაქტია ვიდრე მოსაზრება.

5. აღსანიშნავია, რომ იმ 1000 სამხედრო პრესონალიდა, რომელიც შეირჩა მისიაში მონაწილეობისათვის უმეტესობას გერმანელები წარმოადგენდნენ. ეს იმ ფონზე, როდესაც საფრანგეთი და ბრიტანეთი იყვნენ ლიბიაში ინტერვენციის მომხრენი, ხოლო გერმანიამ მხარი არ დაუჭირა უშიშროების საბჭოს რეზოლუციას 1973. თავის მხრივ

გერმანიას სურდა გამოესწორებინა თავისი „შეცდომა“, თუმცა ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოების თვალში მას ნდობა დაკარგული ჰქონდა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი სცემს პასუხს კითხვას თუ რატომ ვერ იხილა „დღის შუქი“ საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამხედრო მისიამ EUFOR ლიბიაში. თუმცა აქ თავს იჩენს მეორე უფრო ღრმა კითხვა. რატომ იქნა დაშვებული შეცდომები ამ მისიის დაგეგმვაში? ბუნებრივია, ჩვენ არ ვიზიარებთ აზრს, რომ ამდენი საექვო ფაქტორი უბრალო უყურადღებობის ბრალი იყო და რეალურად ყველა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს ჰქონდა ლიბიაში ინტერვენციის დიდი სურვილი. ამიტომაც, ვეცდებით ამის მიზეზი ევროკავშირის წევრი დიდი სახელმწიფოების პოზიციაში ვიპოვოთ ლიბიის კრიზისის გადაჭრის საკითხზე.

12 აპრილს, მას შემდეგ რაც 1 აპრილს ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა ლიბიის მისია, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები ლუქსემბურგში განიხილავდნენ განხორციელებულიყო თუ არა სამხედრო ოპერაცია საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. შეხვედრაზე კარგდ გამოჩნდა თუ რაოდენ განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ ევროპული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებს. ერთ-ერთი არგუმენტი, რომ ეს იყო კარგი შანსი ევროკავშირს ეჩვენებინა რომ ნატოს გარეშე მას ჰქონდა სამხედრო ოპერაციის დაგეგმარების და განხორციელების უნარი, არ იყო მისაღები ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლისათვის. საინტერესოა განვიხილოთ ევროპის დიდი სახელმწიფოების ლიდერების და მოსახლეობის რეაქცია ევროკავშირის შესაძლო სამხედრო ოპერაციაზე ლიბიაში.

საფრანგეთი

საფრანგეთმა ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 1970 და 1973 შექმნაში. ის იყო პირველი ქვეყანა რომელმაც აღიარა ეროვნული გარდამავალი საბჭო (NTC). საფრანგეთი იყო ერთ-ერთი ინიციატორი ლიბიის თავზე არასაფრენი ზონის შექმნის და დიდი როლი ითამაშა მის განხორციელებაშიც. კითხვაზე რა მოტივაცია იდგა საფრანგეთის ამ აქტიურობის უკან, შეიძლება რამდენიმე პასუხი გავსცეთ.

საფრანგეთზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ საკმაოდ მოახლოებული იყო საპრეზიდენტო არჩევნები (2012 წლის აპრილი) და პრეზიდენტ სარკოზის რეაქციას ლიბიის კრიზისზე შესაძლოა გადაეწყვიტა მისი მეორე ვადით არჩევა/არ არჩევა. ამგვარად, სახელმწიფო ინტერესთან ერთად მას ასევე ამოძრავებდა პირადი დაინტერესებაც. ზოგადად საფრანგეთის წამყვანი პოზიციები სუთპ-ში განპირობებული იყო იდეით “Europe de la defence” (ევროპული თავდაცვა). შესაბამისად, სარკოზი ვერ დაუშვებდა ევროპული სახელმწიფოების მინიმალური კონსენსუსის გამო დაეზარალებინა საფრანგეთის ინტერესები და გავლენა აფრიკაში, მით უფრო, რომ საფრანგეთს არაერთხელ ჰქონდა აღნიშნული და გაკრიტიკებული საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ნელი და მოუქნელი ბუნება. გასათვალისწინებელია ასევე ევროკავშირის ჩადში განხორციელებული ოპერაცია, რომლისთვისაც საფრანგეთს დასჭირდა დიდი დრო და ენერჯია მოეპოვებინა წევრი სახელმწიფოების თანხმობა.

2008 წლიდან პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზის გეგმებში შედიოდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ინტეგრაცია და ხმელთაშუა ზღვის კავშირის ჩამოყალიბება. ვინაიდან პრეზიდენტ სარკოზის დაგვიანებულმა რეაქციამ ტუნისში მიმდინარე მოვლენებზე ხელისუფლების მიმართ დიდი კრიტიკა და საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენებაც კი გამოიწვია, მას არანაირად არ სურდა საერთო ევროპული გადაწყვეტილების ლოდინით მსგავსი შედეგი მიეღო. საფრანგეთის მოტივაციაზე საუბრისას ასევე ასახელებენ ეკონომიკურ ინტერესებს, რომელიც მთავრობას ლიბიის მიმართ გაჩნდა. ამგვარად, საფრანგეთი აქტიურად ლობირებდა ევროკავშირის ეგიდით სამხედრო ოპერაციის ჩატარებას, თუმცა ამავე დროს დროის მოგების მიზნით უნილატერალურადაც მოქმედებდა. საფრანგეთის განსაკუთრებული აქტიურობის მიზეზად ხელისუფლება დაცვის პასუხისმგებლობას ასახელებდა. ისინი ამბობდნენ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა ისწავლოს თავის შეცდომებზე და არ დაუშვას სებრენიცას მსგავსი ტრაგედია.

ფრანგი საზოგადოება მხარს უჭერდა სარკოზის სამხედრო ინიციატივას. ამას ემატებოდა ისიც, რომ საფრანგეთის პარლამენტი მომხრე იყო „სუთპ“-ით მოქმედ სამხედრო

ოპერაციებში საფრანგეთს აქტიური როლი ეთამაშა. ქვეყნის მოსახლეობა ზოგადად მხარს უჭერდა საფრანგეთის სწრაფ რეაგირებას ლიბიის კრიზისზე.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთი საფრანგეთთან ერთად ერთ-ერთი მოწინავე იყო როგორც გაეროს რეზოლუციების შექმნაში ისე ლიბიის საჰაერო სივრცის არასაფრენ ზონად გამოცხადებაში. საფრანგეთისგან განსხვავებით ბრიტანეთი კატეგორიულად მოითხოვდა არა მხოლოდ ნატოს ჩართვას ინტერვენციაში, არამედ სამხედრო ოპერაციის ნატოს ეგედიტ განხორციელებას.

საფრანგეთისგან განსხვავებით ბრიტანეთს დიდი ეკონომიკური ინტერესები ჩრდილო აფრიკული ქვეყნის მიმართ არ ჰქონდა, ამიტომაც სამხედრო ინტერვენცია ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა (Clarke, 2011). თუმცა აქაც დიდი როლი ითამაშა შიდა პოლიტიკამ. ხელისუფლებაში ახლად მოსული პრემიერ მინისტრი კამერონი აკრიტიკებდა მისი წინამორბედის ახლო ურთიერთობას დიქტატორ კადაფისთან. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობაში კიდევ იყო უკმაყოფილება ერაყსა და ავღანეთში ინტერვენციაზე, კამერონის მთავრობამ, რომელსაც მხარს პარლამენტის სრული უმრავლესობა უჭერდა, დაარწმუნა მოსახლეობა ლიბიის კრიზისში ჩარევის სისწორეზე, საჭიროებაზე და სამართლიანობაზე. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მსგავსად ბრიტანეთის მთავრობაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის მიერ ლიბიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელებას. როგორც ყოველთვის, მაშინაც თავი იჩინა ატლანტიციზმა და ევროპული ინტეგრაციისადმი სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ. ბრიტანეთში არავინ არ საუბრობდა სუთპ-ის სამხედრო მისიაზე ლიბიაში. პოლიტიკოსებს და დიპლომატებს ეშინოდათ ამ მისიაზე თანხმობა მათ სისუსტედ არ აღქმულიყო.

ბრიტანელები ზოგადად ძალიან სკეპტიკურად უყურებდნენ ყველა იმ ინიციატივას თუ წამოწყებას, რომელიც ბრიტანეთს ბრიუსელთან კიდევ უფრო დაახლოვებდა. ვინაიდან ამ შემთხვევაში „სუთპ“-ის ოპერაციაში მონაწილეობას სწორედ ეს შედეგი ექნებოდა, ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ მათი სამხედროების ჩართულობას.

ბრიტანელების მთავარი არგუმენტი თუ რატომ არ სურდათ ინტეგრაციის გაღრმავება ბრიუსელთან იყო მათი სურვილი არ ყოფილიყვნენ ჩათრეულნი გადამეტებულ ბიუროკრატიულ აპარატში და საბოლოოდ იძულებულები არ გამხდარიყვნენ დამორჩილებოდნენ სხვის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამ ყოველივედან გამომდინარე ბრიტანეთის საზოგადოება ეწინააღმდეგებოდა თავიანთი სახელმწიფოს ჩართვას ლიბის სამხედრო ოპერაციაში (Marchi, 2017).

გერმანია

გერმანიის პოზიცია საკითხზე ძირითადად მოახლოებული არჩევნებით (18 სექტემბერი, 2011) იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ გერმანიის მიერ რეზოლუცია 1973-ზე თავის შეკავება დასვალეთის ქვეყნების შოკი გამოიწვია. ეს იყო გერმანიის გაერთიანების შემდეგ პირველი შემთხვევა, როდესაც გერმანია თავისი დასავლელი პარტნიორების აშშ-ის, საფრანგეთის და ბრიტანეთის წინააღმდეგ წავიდა. ანგელა მერკელი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ადამიანის უფლებათა დიდი დამცველი, უცებ აღმოჩნდა ჩინეთისა და რუსეთის გვერდით. როგორც არაერთ ექსპერტს მიაჩნია, ამის მიზეზი იყო შიდა პოპულარობის დაკარგვის შიში. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ბერლინის ცნობით რეზოლუცია 1973-ზე თავის შეკავება დიდი განსჯისა და დაფიქრების შედეგი იყო, იმავე დღიდან რაც ამ ამბავმა მთელი დასავლეთი აღაშფოთა, გერმანელებმა თითქოს თავის მართლება დაიწყეს. გერმანიის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შიდაპარტიული და სხვა ფაქტორებითაც შეიძლება აიხსნას, მაგრამ ამ მოვლენაში კვლევისთვის საინტერესო ისაა, რომ რეზოლუციაზე თავის შეკავების მიუხედავად გერმანიამ ხარი დაუჭირა ევროკავშირის სამხედრო მისიას. რთულია ვთქვით რა მოხდებოდა გაეროს რეზოლუციაზე სხვა პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაში, მაგრამ დიდად სავარაუდოა, რომ გერმანია მიესალმებოდა ეკონომიკურ სანქციებს, თუმცა მხარს არ დაუჭერდა სამხედრო ოპერაციას.

გერმანიის საზოგადოება აღშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ გერმანია არ შეუერთდა ტრადიციულ მოკავშირეებს. სხვადასვა მოსაზრებით გერმანიის პოზიცია საკუთარი წვლილი არ შეეტანა ლიბის სამხედრო ოპერაციაში შიდა ამომრჩევლის გულის

მოგებაზე იყო გათვლილი, რადგან მოსახლეობის უმეტესობას მაინც სამხედრო ძალის გამოყენებისგან თავის შეკავება მიაჩნდა სწორად (Wright, 2019).

იტალია

იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის მიზნი იყო რაც შეიძლება თავი აერიდებინა ლიბიის კრიზისისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები რაც ამ ორ ქვეყანას გააჩნდა. ერთი მხრივ ბერლუსკონის ემინოდა, რომ ეს კონფლიქტი დააზიანებდა იტალიურ კომპანიებს, რომლებიც ნაწილობრივ ლიბიის მთავრობის მფლობელობაში იყო (FIAT, SpA, UniCredit SpA). მეორე მხრივ, მან იცოდა, რომ სამხრეთიდან მიგრანტების შემოდინება დააზიანებდა მის იმიჯს ქვეყნის შიგნით. ამას ემატებოდა ისიც, რომ იტალიის ნედლი ნავთობის იმპორტის 25% ლიბიაზე მოდიოდა. ამგვარად, ბერლუსკონი არანაირად არ იყო დაინტერესებული ევროკავშირის მიერ სუთპ-ის ფარგლებში ლიბიაში სამხედრო მისიის განხორციელების.

იტალიის მოსახლეობა აღშფოთებული იყო უფრო თავიანთი პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონის დაგვიანებული რეაქციით ლიბიის კრიზისზე, ვიდრე სუთპ-ის მხარის არ დაჭერით. იტალიელი პოლიტოლოგების უმრავლესობა იზიარებდა იმ აზრს, რომ ნატოს ფარგლებში ევროპული სახელმწიფოების ჩართულობა თავისთავად მეტყველებდა ევროპულ ერთობაზე და არ იყო აუცილებელი ეს ერთობა გამოჩენილიყო საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში. მოსახლეობის ნაწილი ვერ ხვდებოდა, რატომ იყო საჭიროება განხორციელებინათ სამხედრო ინტერვენცია ჰუმანიტარული დახმარების გადასაცემად.

რომ შევაჯამოთ, ევროპის 4 დიდი სახელმწიფოდან მხოლოდ საფრანგეთს სურდა ევროკავშირის ეგიდით სამხედრო მისიის განხორციელება ლიბიაში, გერმანია წინააღმდეგობას არ უწევდა ინიციატივას, ხოლო ბრიტანეთი და იტალია მოწინააღმდეგე იყო. შედეგად მივიღეთ EUFOR ლიბია, რომელიც როგორც ზემოთ კარგად გამოჩნდა უფრო იდეაშიც კი უფრო კომპრომისული მისია იყო ვიდრე ქმედითი და რეალური შედეგის მომტანი. სწორედ ამით აიხსნება მისი მხოლოდ ფურცელზე დარჩენა და შესაბამისად არაეფექტიანობა. ბუნებრივია, დიდ სახელმწიფოებს შორის რომ ყოფილიყო

ერთსულოვნება ლიბიაში სამხედრო მისიის განხორციელებაზე, მოხდებოდა მისი იმგვარი დაგეგმვა, რომ გაერო, რომლის მიზანიც იყო რაც შეიძლება მეტი აქტორი ჩარეულიყო კონფლიქტის შეჩერებაში და დარეგულირებაში, არანაირად არ დააბრკოლებდა მას.

ქეისი: კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

განსაკუთრებულად საინტერესოა ევროკავშირის ურთიერთობები კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, იქ განხორციელებული სამედრო და სამოქალაქო მისიები. 2003 წლიდან დღემდე კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სულ ჩატარადა ევროკავშირის 5 სამშვიდობო მისია. აქედან 2 იყო სამხედრო 3 კი სამოქალაქო. კონგო არის ევროპული მისიების რაოდენობით უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან არც ერთ სხვა სახელმწიფოში არ განხორციელებულა ამ რაოდენობის ოპერაციები. მიუხედავად ამისა, კონგო დღესაც მსოფლიოს უმწვავესი კონფლიქტების რეიტინგში მეორე-მესამე ადგილს იკავებს (CFR, 2019). ერთ შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად უდიდესი მცდელობის, ევროპულმა გაერთიანებამ ვერ შეძლო ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან არიდება. თუმცა საჭიროა გავანალიზოთ რეალურად რა იყო ევროკავშირის მისიების არააეფექტიანობის მიზეზი.

კონფლიქტის ისტორია

კონგო დაარსდა 1908 წელს როგორც ბელგიის კოლონია. 1960 წელს ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. სხვა აფრიკული ქვეყნების მსგავსად დამოუკიდებლობის პირველი წლები ხასიათდებოდა პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობით. ამის მიზეზი იყო ასევე ის ფაქტი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ მინისტრი ერთმნეთ პოლიტიკური მტრები იყვნენ. ამ და მსგავსმა პროცესებმა ხელი შეუშალა ქვეყნის ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და განვითარებას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანამ არაერთხელ შეიცვალა სახელი. ბოლო 60 წლის მანძელზე ის იწოდებოდა

ბელგიური კონგო, კონგოს რესპუბლიკა, ზაირის რესპუბლიკა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკად.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან რამდენიმე წელში, 1965 წელს ძალაუფლება ხელში ჩაიგდო გენერალმა ჯოსეფ მობუტუმ, რომელმაც თავს მობუტუ სესე სეკო უოდა და 32 წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას. მისი მართველობა დამყარებული იყო კორუფციაზე და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ბოროტად გამოყენებაზე. ბუნებრივია კონგოს ისტორიის განხილვა ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის, ამიტომაც კვლევის ფარგლებში ყურადღებას გავამახვილებთ ქვეყნის უახლეს ისტორიაზე სამშვიდობო მისიებთან მიმართებაში, თუმცა გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ისტორია რითაც მოვიდა ეს ქვეყანა დღემდე.

1996-2002 წლებში კონგოში (დრ) მიმდინარეობდა სასტიკი სამოქალაქო ომები, რომელმაც 5 მილიანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მართალია ეს სამხედრო დაპირისპირებები სამოქალაქო ომის სახელითაა ცნობილი, თუმცა მასში ასევე ჩართული იყვნენ სხვა სახელმწიფოებიც: რუანდა, ბურუნდი, ანგოლა, უგანდა, ზიმბაბვე, ნამიბია. 1999 წლიდან ქვეყანაში განლაგებულია გაეროს სამშვიდობო ოპერაცია MONUC (2010 წლიდან MONUSCO), რათა უზრუნველჰყოს სამშვიდობო პროცესების წარმართვა და გრძელვადიანი სტაბილურობა.

EUFOR ARTEMIS

ოპერაცია არტემისი ბევრი მიზეზის გამო გამორჩეული მისია. ეს იყო ევროკავშირის მიერ განხორციელებული პირველი დამოუკიდებელი სამხედრო მისია, ევროგაერთიანების პირველი სწრაფი რეაგირების გამოხატვა კონფლიქტზე და პირველი ოპერაცია ევროპის კონტინენტის გარეთ. მისია თავიდან დაიწყო როგორც საფრანგეთის ოპერაცია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის იტური კომფლიქტური რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრ ბუნიაში. ოპერაცია დაიწყო გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 2003 წლის 30 მაისის რეზოლუციით 1484 და გაგრძელდა იმავე წლის 1 სექტემბრამდე. მისი მიზანი იყო უსაფრთხოების პირობების სტაბილიზაცია და ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესება ბუნიაში, აეროპორტის დაცვის უზრუნველყოფა, იძულებით

გადაადგილებულ პირთა დაცვა ბუნიის ბანაკში და თუ სიტუაცია მოითხოვდა, მშვიდობიანი მოსახლების და გაეროს პერსონალის დაცვა ქალაქში. 2003 წლის 12 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მიიღო რეზოლუცია რომლის მიხედვითაც უნილატერალურ ფრანგულ ოპერაციას ჩაენაცვლა მულტილატერალური ევროკავშირის მისია. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო დანაყოფის 90%-ს ფრანგი ჯარისკაცები წარმოადგენდნენ, ოპერაციის დაგეგმარებაში ევროკავშირის 15 ქვეყანა მონაწილეობდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისიაში ასევე აქტიურად იყო ჩართული დიდი ბრიტანეთი. იმ ბევრი შეზღუდვის გათვალისწინებით რომელიც მას გააჩნდა, მიიჩნევა რომ ოპერაცია ARTEMIS იყო წარმატებული. მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ევროკავშირის ტიპური სამხედრო მისია, გარკვეული დასკვნების გამოტანა მაინც შესაძლებელია. 1. მთავარი მიზეზი რატომაც მოხდა სწრაფი რეაგირება კრიზისზე შეგვიძლია ვიპოვოთ მისიის პირველი ნაწილის უნილატერალიზმში. საფრანგეთმა მყისიერად მიიღო გადაწყვეტილება და გაეროს მოთხოვნიდან სულ რამდენიმე დღეში გააგზავნა საკუთარი სამხედრო შენაერთები. 2. ოპერაციაში უშუალოდ ჩართული იყო 2 დიდი ევროპული სახელმწიფო - საფრანგეთი და ბრიტანეთი. მათ შორის საფრანგეთზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოდიოდა მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა 90 პროცენტი. 3. კონგოს ერთ რეგიონში განხორციელებული მისია არ ეწინააღმდეგებოდა არც ერთი ევროპული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, შესაბამისად, ვინაიდან საფრანგეთმა იტვირთა ადამიანური და სამხედრო რესურსების უდიდესი ნაწილი, სხვა სახელმწიფოებმა არ შეაფერხეს ეს პროცესი. ბუნებრივია, იმ ფაქტი, რომ ოპერაცია შეზღუდული იყო დროში, და გეოგრაფიულ არეალში დადებითი როლი ითამაშა სახელმწიფოების შეთანხმებულობაში. რაც უფრო ნაკლები პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ ევროპის დიდ სახელმწიფოების, მით უფრო დიდია შანსი, რომ ისინი დათანხმდნენ ამ პასუხისმგებლობის აღებას.

EUFOR RD Congo

კვლევის განსაკუთრებული ობიექტია ევროკავშირის მიერ განხორციელებული მეორე სამხედრო მისია კონგოში EUFOR RD Congo. ვინაიდან ეს არ იყო პირველი მისია და ევროკავშირის უკვე ჰქონდა გარკვეული გამოცდილება ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ

ეს იყო ტიპიური სამედრო მისია რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დასკვნების გამოტანა.

2006 წლის ზაფხულში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვითარება მაქსიმალურად დაიძაბა. ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად უნდა ჩატარებულიყო დემოკრატიული არჩევნები. თითქმის ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი ომის ყოფილი მონაწილე იყო და არსებობდა საშიშროება, რომ ისინი არ დაემორჩილებოდნენ არჩევნების შედეგებს. ვინიდან ევროკავშირს უკვე ჰქონდა კონგოში (დრ) სამხედრო ოპერაციის გამოცდილება, 2005 წლის დეკემბერში გაერომ სთხოვა ევროკავშირს MONUC-ის მისიას სამხედრო ძალით დახმარებოდა არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაში. გადაწყვეტილების მიღების პროცესმა გასტანა 2005 წლის 27 დეკემბრიდან 2006 წლის 12 ივნისამდე. მზადების პირველივე ეტაპზე ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (სუთპ-ის წინამორბედი) სტრუქტურა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა - მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოები ძირითადად მისიის ჩატარების მომხრე იყვნენ, არავის არ სურდა საკუთარი წვლილის შეტანა. არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ სურდა პასუხისმგებლობის აღება და ელოდებოდნენ ერთმანეთს ვინ იკისრებდა წინამძღოლობას. ეს გაურკვეველობა გაგრძელდა რამდენიმე თვე, სანამ 14 მარტს ევროკავშირის სტრუქტურებს გარეთ შეთანხმება არ მიაღწიეს საფრანგეთმა და გერმანიამ. საფრანგეთმა პირობა დადო, რომ გააგზავნიდა იგივე რაოდენობის კონტიგენტს რასაც გერმანია, იმ პირობით, რომ გერმანია გაუძღვებოდა ოპერაციას ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ეუთპ) ფარგლებში. მარტის ბოლოს ოპერაციის შტაბ-ბინა დაარსდა პოტსდამში, დაიწყო ოპერაციის დაგეგმარება და ფაქტების საძიებელი მისია გაიგზავნა კინშასაში (კდრ-ის დედაქალაქი). 2006 წლის 25 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ევროკავშირს ოფიციალურად აძლევდა სამხედრო ოპერაციის მანდატს.

მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ თუ ვინ იღებს მთავარ გადაწყვეტილებებს ევროკავშირის სამხედრო მისიაში EUFOR RD Congo. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაციის განხორციელებაზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ მისიაში. უბრალოდ ეს მოხდა ინტერმინისტერიალზე და ფორმალურად დამტკიცდა საგარეო საქმეთა მინისტრთა

საბჭოზე. ოფიციალურად ევროპარლამენტი არანაირად არ იყო ჩართული ოპერაციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში ან მის განხორციელებაში. ამგვარად, ევროკავშირის ინსტიტუტებმა და სტრუქტურებმა ამ პროცესში მხოლოდ მინიმალური, გადაწყვეტილების მიღების სივრცის როლი ითამაშეს. ეს მაშინ, როდესაც ოპერაციის მონაწილე ათივე სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტები ფორმალურად¹ თუ არაფორმალურად უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მთავრობა არა თუ თანახმა იყო, არამედ ოპერაციის წინა სამუშაოები უკვე გაკეთებული ჰქონდა, ასევე არსებობდა გაეროსა და ევროკავშირის საბჭოს რეზოლუციები, სანამ ბუნდესტაგმა არ მისცა ოფიციალური თანხმობა 2006 წლის 1 ივნისს, იქამდე ოპერაცია ვერ დაიწყო. იმ ქვეყნებშიც კი (პოლინეთი, დიდი ბრიტანეთი) სადაც კონსტიტუცია არ მოითხოვდა პარლამენტის თანხმობას, ეროვნული პარლამენტი ჩართული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ევროპარლამენტმა მოთხოვა საბჭოს ოპერაციის მსვლელობისას მიმდინარე მოვლენების რეპორტინგი განხორციელებინა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ პრესა ბევრად უფრო ინფორმირებული იყო ვიდრე ევროპარლამენტი (Ondarza, 2008). საბოლოო ეტაპზე მისია შედგებოდა 2,300 ჯარისკაცისაგან. მისიამ თავის დავალებას თავი კარგად გაართვა. თუ არ ჩავთვლით მცირე ინციდენტებს არჩევნებმა კონგოში მშვიდობიანად ჩაიარა, რაც იყო ოპერაციის მადატი. თუმცა მისიის მიწურულს ცხადი გახდა, რომ აუცილებელი იყო მანდატის გახანგრძლივება, რადგან არსებობდა აჯანყების საფრთხე. ყველასთვის ნათელი იყო, რომ მანდატის გაგრძელების წარუმატებლობა მთელი მისიის წარუმატებლობას ნიშნავდა, რადგან მოპოვებულ წარმატებას შენარჩუნება ჭირდებოდა. საფრანგეთი და ბელგია აქტიურად ლობირებდნენ ოპერაციის გახანგრძლივების იდეას თუნდაც ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე. გერმანია, ესპანეთი და ნიდერლანდები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ 1 დეკემბრის შემდეგ მათ დარჩენას ქვეყანაში (Fritsch, 2008). შედეგად, EUFOR RD Congo-ს მისიის გახანგრძლივება არ მოხდა. ევროკავშირის სამხედრო მისია კონგოში ერთ-ერთ წარმატებულ მისიად მიიჩნევა,

¹ იმ სახელმწიფოების შემთხვევაში, რომელთა კონსტიტუციაც ითვალისწინებდა პარლამენტის თანხმობას სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობაზე.

თუმცა, ფაქტია, რომ შეთანხმებულობის ის დონე რაც დიდ სახელმწიფოებს შორის იყო მხოლოდ მოკლევადიანი დადებითი შედეგის მისაღებად იყო საკმარისი და როდესაც დადგა მისიის გაგრძელების და უფრო ფუნდამენტური ცვლილებების მოხდენის საკითხი, მყიფე ერთსულოვნება მაშინვე დაირღვა.

სამშვიდობო მისიები კონგოში

სამხედრო მისიების შემდეგ ევროკავშირმა 3 სამოქალაქო მისია გააგზავნა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ სამივე მისიისთვის დამახასიათებელი იყო ის ფაქტი, რომ ისინი იყვნენ ძალიან მცირერიცხოვანი და მათში ევროკავშირის წევრი დიდი საელმწიფოები ჩვეულებრივ მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი.

EUROPOL კინშასა - საპოლიციო მისია 2005-2007 წლებში. მონაწილეობდა 29 პოლიციის თანამშრომელი. აქედან 11 იყო ფრანგი ხოლო 1 ბრიტანელი. მისიის დანარჩენი წევრები იყვნენ ანგოლადან, მალიდან და რუმინეთიდან.

EUROPOL RD Congo - საპოლიციო მისია 2007-2014 წლებში. მისიაში ჩართული იყო 31 ოფიცერი მხოლოდ 7 ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან, სრული უმრავლესობა პატარა საელმწიფოებიდან.

EUSEC RD Congo - უსაფრთხოების სექტორში რეფორმების დახმარებისა და თანამშრომლობის მისია 2005-2016 წლებში. მასში მხოლოდ 10 საერთაშორისო პერსონალი მონაწილეობდა, უმეტესობა მათგანი ევროკავშირის პატარა წევრი ან არაწევრი ქვეყნიდან.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მცირე და მოკლევადიანი წარმატების თუ არ ჩავთვლით ეს მისიები იყვნენ არაეფექტიანი. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის კომპრომისული მანდატები და შეზღუდული რაოდენობის პერსონალის მონაწილეობა რომელიც შესაძლებელი იყო დიდი სახელმწიფოების შეუთანხმებლობის ფონზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზეა (CFR, 2019).

ევროკავშირის წარმატებული სამშვიდობო მისიები

მაშინ როდესაც ევროპულმა სახელმწიფოებმა ლიბიის კრიზისთან დაკავშირებით ვერ მოახერხეს ერთ პოზიციაზე შეთანხმება, დაახლოებით იმავე პერიოდში სომალი - მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური კომფლიქტური რეგიონი - გახდა ევროკავშირის ერთსულოვნების და კრიზისების მართვის საუკეთესო მაგალითი. მთავარი არსებითი სხვაობა რაც განასხვავებდა ლიბიასა და სომალის შემთხვევებს იყო წვერი დიდი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებთან პირდაპირი კავშირი. სომალელი მეკობრეები პირდაპირ ეკონომიკურ ზიანს აყენებდნენ არა მხოლოდ ზოგადად ევროკავშირს ან მის რომელიმე კონკრეტულ ქვეყანას, არამედ თითოეულ სახელმწიფოს. ამ ფაქტორმა უდიდესი როლი ითამაშა ერთსულოვნების ჩამოყალიბებაში. შედეგად ოპერაცია EU NAVFOR Atalanta, რომელშიც მონაწილეობას იღებს ევროკავშირის წვერი ყველა დიდი სახელმწიფო დღემდე წარმატებით ახორციელებს თავის მანდატს. შედეგად, თუ 2011 წელს სომალელი მეკობრეების სამოქალაქო გემებზე თავდასხმის 174 შემთხვევა იყო, რომლიდანაც მოხდა 47 გემის გატაცება, 2018 წლის მონაცემებით მხოლოდ ერთ გემზე მოხდა თავდასხმა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა (EU NAVFOR Somalia, 2018).

დაახლოებით იგივე წარმატებით მოიხსენიებენ ევროკავშირის მისიაში მალში - EUTM Mali, ასევე რომელშიც ჩართულია ყველა დიდი სახელმწიფო. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ სომალსა და მალში არანაირი კონფლიქტი აღარ არსებობს და მოსახლეობა მშვიდობიანად განაგრძობს ცხოვრებას, თუცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სერიოზული წარმატებები არის მიღწეული და რაც მთავარია, დღეს ამ ქვეყნებში ასეული სიტუაცია უკეთესია ვიდრე ეს იყო ევროკავშირის მისიების დაწყებამდე.

ინტერგოვერნმენტალიზმის ახსნა

ზემოთ განხილულმა შემთხვევებმა ნათლად დაგვანახა, რომ ევროკავშირის მიერ განხორციელებულ არაეფექტიან მისიათა უმეტესობა იყო წევრ დიდ სახელმწიფოთა შეუთანხმებლობის შედეგი. მათ არ სურთ ისეთ სფეროში, როგორც უსაფრთხოებაა სუვერენიტეტის გადაცემა სუპრანაციონალური სტრუქტურებისთვის. შესაბამისად, ისინი ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლებად იყვნენ ჩართული საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის, განსაკუთრებით, სამხედრო მისიებში თუ ეს პირდაპირ არ შედის მათ ეროვნულ ინტერესებში. ჩვეულებრივ, თუ ერთი ან ორი დიდი სახელმწიფო დაინტერესებულია რომელიმე რეგიონში სამშვიდობოების გაგზავნით, ეს ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების ინტერესებს. საუკეთესო შემთხვევაში ხდება კომპრომისულ მისიებზე შეთანხმება, რომელშიც როგორც ზევით ვიხილეთ ან საერთოდ არ ხორციელდება (ლიბია) ან გამოირჩევა არაეფექტიანობით (კდრ). ის ფაქტი, რომ დიდი სახელმწიფოები უშუალოდ თავად არ იღებენ ოპერაციებში მონაწილეობას, ესეც მათი ეროვნულ ინტერესებით შეიძლება აისინას და მისი შედეგი პირდაპირ აისახება ამ მისიათა ეფექტიანობაზე.

დასკვნა

როგორც ტექსტში განხილულ შემთხვევებში გამოვლინდა, ევროკავშირის წევრი დიდი სახელმწიფოები უსაფრთხოების საკითებზე გადაწყვეტილების მიღებისას ინტერგოვერნმენტალიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობენ. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში სამშვიდობო მისიების ჩატარებას ისინი ეყრდნობიან ეროვნულ ინტერესებს. ეს იწვევს წევრ დიდ სახელმწიფოთა შორის არაშეთანხმებულობას, რომელიც ვლინდება კომპრომისულ მისებში არამონაწილეობით და საბოლოოდ ვიღებთ ევროკავშირის არაეფექტურ სამშვიდობო მისიებს. ევროკავშირის წარმატებული ქეისების მაგალითმა გააბათილა ის არგუმენტი, რომ ლიბიაში და კონგოში არაეფექტიანი სამშვიდობო

მისიები ქვეყნებში მიმდინარე მაშტაბური და კომპლექსური ვითარებით იყო განპირობებული. ამგვარად, კვლევის შედეგად გამართლდა ჰიპოთეზა. საინტერესო იქნება როგორ დასრულდება ნაშრომში წარმატებულ ქეისებად შეფასებული ევროკავშირის მისიები სომალიში და მალიში. ამ ეტაპზე ეს მისიები ცალსახად წარმატებულადაა შეფასებული, თუმცა მათი დასრულების შემდეგ ცალკე კვლევა შეიძლება ჩატარდეს მოახერხებენ თუ არა ისინი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ამ ქვეყნებში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Action, E. U. (2018, 08 01). *EU Defense and Security*. Retrieved from European Union: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/49010/part-1-eu-acts-peace-and-security_en
- Aggestam, L. (2012). New actors, new foreign policy: EU and enlargement. In S. Smith, A. Hadfield, & T. Dunne, *Foreign Policy* (pp. 463-483). Oxford: Oxford University Press.
- BBC. (2011, 03 18). *Libya UN Resolution 1973: Text analysed*. Retrieved 07 10, 2018, from <https://www.bbc.com/news/world-africa-12782972>
- BBC. (2011, 09 30). *Libya: Rebels and Nato dismiss Gaddafi ceasefire offer*. Retrieved 07 04, 2018, from <https://www.bbc.com/news/world-africa-13249923>
- CFR. (2019, 01 1). *Global Conflict Tracker*. Retrieved from Council of Foreign Relations: <https://www.cfr.org/interactive/global-conflict-tracker/?category=usConflictStatus&vm=grid>
- Church, C. H. (1996). *European Integration theory in the 1990s, European Dossier Series*. London: University of North London.
- Cini, M., & Perez-Solorzano Borragan, N. (2009). *European Union Politics*. Oxford: Oxford University Press.
- Clarke, M. (2011). The making of Britain's Libya strategy. In A. Johnson, & S. Mueen, *Short War, Long Shadow The Political and Military Legacies of the 2011 Libya Campaign* (pp. 7-13). London: Stephen Austin and Sons, Ltd.
- Council. (2000). *Council meeting- GENERAL AFFAIRS*. Luembourg: Council.
- Council. (2003). *A Secure Europe in a Better World: European Security Strategy*. Brussels.
- De Coning, c. (2007). Coherence and Coordination in United Nations Peacebuilding and Integrated Missions - A Norwegian Perspective. *Norwegian Institute of International Affairs (NUPI), Security in Practice*.
- Diehl, P. F. (1993). *International Peacekeeping*. Baltimore: Johns Hopkins University.
- Encyclopædia Britannica. (2017, June 16). *Humanitarian intervention*. Retrieved July 02, 2018, from Encyclopædia Britannica: <https://www.britannica.com/topic/humanitarian-intervention>
- EU External Action. (2017, 11 10). *EU-Georgia relations, factsheet*. Retrieved from EU External Action: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/23634/EU-Georgia%20relations,%20factsheet
- EU NAVFOR Somalia. (2018, 12 16). *Countering Piracy off the Coast Somalia*. Retrieved from EU NAVFOR Somalia: <https://eunavfor.eu/>
- EU-GRASP. (2012). *The EU as a Global-Regional Actor in Security and Peace*. Bruges: United Nations University institute on Comparative Regional Integration Studies (UNU-CRIS).
- European Commission. (2019, 02 18). *EU position in world trade*. Retrieved from European Commission: <http://ec.europa.eu/trade/policy/eu-position-in-world-trade/>

- European Commission and HR. (2013). *JOINT COMMUNICATION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL: The EU's comprehensive approach to external conflict and crises*. Brussels: European Commission.
- European Commission and HR. (2013). *The EU's comprehensive approach to external conflict and crises*. Brussels: European Commission.
- European External Action Service. (2018). *EU Missions and Operations*.
- Foster, J., & Stokke, O. S. (1999). *Policy Coherence in Development Co-operation*. London: Routledge.
- Fritsch, H. (2008). *EUFOR RD Congo: A Misunderstood Operation?* Ontario: Queen's University.
- General Assembly. (2005, 10 24). *RESPONSIBILITY TO PROTECT*. Retrieved 07 09, 2018, from United Nations Office on Genocide Prevention and The Responsibility to Protect: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/487/60/pdf/N0548760.pdf?OpenElement>
- George, S., & Bache, I. (2001). *Politics in the European Union*. Oxford: Oxford University Press.
- Global Firepower. (2019, 04 07). *2019 World military ranking*. Retrieved from World Military Strength: <https://www.globalfirepower.com/countries-listing.asp>
- Gowan, R. (2011, 05 31). *The EU and Libya: Missing in action in Misrata*. Retrieved from European Council on Foreign Relations: https://www.ecfr.eu/article/commentary_the_eu_and_libya_missing_in_action_in_misrata
- Haas, E. B. (1958). *The Uniting of Europe: political, social and economic forces, 1950-1957*. Stanford: Stanford University Press.
- Hix, S. (1999). *The political system of the European Union*. Basingstoke: Macmillan.
- Hoffman, S. (1995). *The European Sisyphus: essays on Europe 1964-94*. Oxford: Westview.
- Homan, K. (2007). Operation Artemis in the Democratic Republic of Congo. In *European Commission: Faster and more united? The debate about Europe's crisis response capacity* (pp. 151-155).
- Jensen, C. S. (2010). Neo-functionalism. In M. Cini, & N. Perez-Solorzano Borragan, *European Union Politics* (pp. 71-85). Oxford: Oxford University Press.
- Keohane, R. O., & Hoffmann, S. (1991). *The New European Community: decision making and institutional change*. Boulder: Westview.
- Keukeleire, S., & Delreux, T. (2014). *The foreign policy of the European Union*. London: Palgrave Macmillan.
- Koenig, N. (2016). *EU Security Policy and Crisis*. New York: Routledge.
- Kubosova, L. (2007, 11 28). *EU to break travel ban on Mugabe for Africa summit*. Retrieved from EUobserver: <https://euobserver.com/foreign/25230>
- Lerch, M., & Schwellnus, G. (2006). Normative by nature? The role of coherence in justifying the EU's external human rights policy. *Journal of European Public Policy*, 304-321.
- Lutterbeck, D. (2005). Blurring the Dividing Line: The Convergence of Internal and External Security in Western Europe. *European Security*, 14(2), 231-253. doi:10.1080/09662830500336193

- Macrae, J., & Leader, N. (2001). Apples, pears and porridge: the origins and impact of the search for “coherence” between humanitarian and political responses to chronic political emergencies. *Disasters*, 290-307.
- Marchi, L. (2017). The EU in Libya and the collapse of the. *US-China Law Review Journal*, 14(6).
- McCormick, J. (2002). *Understanding European Union: A concise Introduction*. London: Macmillan Education UK.
- Moravcsik, A. (1993). Preferences and power in the European community: a liberal intergovernmentalist approach. *Journal of Common Market Studies*, 34(4), 473-524.
- Moravcsik, A. (1998). *The choice for Europe: social power from Messina to Maastricht*. London: UCL Press.
- Morgenthau, H. (1985). *Politics among nations: the struggle for power and peace*. New York: Knopf.
- Nugent, N. (1999). *The government and politics of the European Union*. Basingstoke: Macmillan.
- Nuttall, S. (2005). Coherence and consistency. In C. Hill, & M. Smith, *International Relations and the European Union* (pp. 90-112). Oxford: Oxford University Press.
- Olsen, G. R. (2008). Coherence, consistency and political will in foreign policy: The European Union's Policy towards Africa. *Perspectives on European Politics and Society*, 157-171.
- Ondarza, N. v. (2008). EU Military Deployment - An Executive Prerogative? *GARNET "EU in International Affairs Conference"*. Brussels.
- Pace, M. (2009). Paradoxes and contradictions in EU democracy promotion in the Mediterranean: the limits of EU normative power. *Democratization*, 39-58.
- Raineri, L., Russo, A., & Harrington, A. (2017). *How the EU is facing crises in its neighbourhood: evidence from Libya and Ukraine*. Pisa: EUNPACK.
- Rieker, P. (2016). *External Governance as Security Community Building: Te Limits and Potential of the European Neighbourhood Policy*. Oslo: Palgrave macmillan.
- Rosamond, B. (2000). *Theories of European Integration*. Basingstoke: Palgrave.
- Schmidt, J. (2012). The High Representative, the President and the Commission - Competing Players in the EU's External Relations: The Case of Crisis management. In P. J. Cardwell, *EU External Relations Law and Policy in the Post-Lisbon Era* (pp. 161-180). Sheffield: Springer.
- Security Council. (2011). *Resolution 1973*. New York: United Nations.
- Security Council. (2011, 03 17). *Security Council Approves 'No-Fly Zone' over Libya, Authorizing 'All Necessary Measures' to Protect Civilians, by Vote of 10 in Favour with 5 Abstentions*. Retrieved 07 10, 2018, from <https://www.un.org/press/en/2011/sc10200.doc.htm>
- Sjursen, H. (2006). EU as a Normative Power, How can this Be? *Journal of European Public Policy*.
- The Journal of Humanitarian Assistance. (1996, 09 03). *The Politics of Humanitarian Intervention*. Retrieved 07 05, 2018, from <https://sites.tufts.edu/jha/archives/103>
- Traynor, I. (2011, 04 18). *Libya conflict: EU awaits UN approval for deployment of ground troops*. Retrieved from The Guardian: <https://www.theguardian.com/world/2011/apr/18/libya-conflict-eu-deployment-ground-troops>

- USIP. (2018, 04 5). *The Current Situation in Libya*. Retrieved 07 10, 2018, from <https://www.usip.org/publications/2018/04/current-situation-libya>
- Willey, J. (2011, 02 23). *Colonel Gaddafi: I'll die a martyr in Libya*. Retrieved from EXPRESS: <https://www.express.co.uk/news/world/230680/Colonel-Gaddafi-I-ll-die-a-martyr-in-Libya>
- Wright, N. (2019). *EU's Common Foreign and Security Policy in Germany and the UK*. London: Palgrave Macmillan.
- Zoubir, Y. H. (2009). Libya and Europe: Economic Realism at the Rescue of the Qaddafi Authoritarian Regime. *Journal of Contemporary European Studies*, 401-415.



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nikoloz Khachidze

Efficiency of the EU peacekeeping missions:
Libya and Democratic republic of Congo cases.

Diplomacy and International Politics

A thesis submitted for the degree of
Master of Diplomacy and International Politics

Thesis supervisor: Professor Tornike Turmanidze

Tbilisi

2019